უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 19.03.2020
სხდომის დაწყების დრო 14:35 სთ
სხდომის დამთავრების დრო 22:06 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

მოწვეული საბჭოს წევრები:

1. თამარა ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე დეპარტამენტის პროფესორი;
2. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
3. მაია გოგაშვილი - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ჯანმრთელობის" მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
4. ნინო მეგრელიშვილი - შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი, მედიცინის დოქტორი;
5. ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
6. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
7. ნინო ჩიხლაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. ირმა ბურდილაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ერვნული ცენტრი

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნონა ზუმბაძე	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღანელი	I, II
2	ანი ქვათაძე	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I, II
3	მალხაზ ღვინჯილია	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
4	მადონა კეკელია	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
5	ელისო კერესელიძე	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	პროფესორი	I, II
6	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	III
7	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმღვანელი	III
8	ოთარ ჯანელიძე	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
9	იოსებ ალიმბარაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
10	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი	III

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერი

11	თამაზ ხვიჩია	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	კანცლერი	IV, V
12	ნინო ჭიჭივეიშვილი	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	ფაკულტეტის დეკანი	IV, V
13	თამარ სოზიაშვილი	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსი	IV, V
14	დათა აფხაზავა	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	IV, V
15	არჩილ კაპანაძე	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	მედიცინის სიმულაციური კლინიკის დირექტორი	IV, V
16	მარიამ ველიჯანაშვილი	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V
17	მანანა ცერცვაძე	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	სახისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკა დევიძე	ჩაერთო „ზუმით“	I
2	მერაბ ხოხობაია	ჩაერთო „ზუმით“	I
3	მარიანა იმნაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
4	სოფიო გულედანი	ჩაერთო „ზუმით“	I
5	ალექსანდრე რუსეცკი	ჩაერთო „ზუმით“	II
6	თეა გოგატიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	II
7	თინა გვაძაბია	ჩაერთო „ზუმით“	II
8	თეიმურაზ პაპასქირი	ჩაერთო „ზუმით“	III
9	გვანცა აბდალაძე	ჩაერთო „ზუმით“	III
10	ოლეგ კაკუშაძე	ჩაერთო „ზუმით“	III
11	ირინა ფხაკაძე	ჩაერთო „ზუმით“	IV, V
12	ირაკლი გაგუა	ჩაერთო „ზუმით“	IV, V
13	ლანა ბოკუჩავა	ჩაერთო „ზუმით“	IV, V

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების

საბჭოს თავმჯდომარე

აკრედიტაციის დებულების“ 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[2]-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგამანათლებლო პროგრამა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო აგანმანათლებლო პროგრამა;
4. შპს - სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედის“ ინგლისურენოვანი „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
5. შპს - სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედის“ ქართულენოვანი „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათებლო პროგრამა;

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ზემოაღნიშნული დღის წესრიგი.

1. პირველი საკითხი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 25 თებერვალი, №30
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ტურიზმი
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[7]	საქართველო, ქ. თბილისი, 0144, წინანდლის ქუჩა N9.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ჩაერთნენ ზუმის (Zoom meeting) საშუალებით

საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ეკა დევიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2019 წლის 6 დეკემბერს, სამუშაო შეხვედრამ კი ჩაიარა დღის წესრიგის მიხედვით. რაც შეეხება ექსპერტთა ძირითად მიგნებებს, ეს გახლავთ ის ფაქტი, რომ აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკული უნარების შეძენისათვის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია კრედიტების მოცულობის გაზრდა. ასევე, რეკომენდებულია სასემინარო-პრაქტიკული სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს 30-40 კაციან ჯგუფებში უფრო მეტი ეფექტიანობისა და ხარისხისთვის და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით. ექსპერტის თქმით, რეკომენდირებულია მეტი გაცვლითი პროგრამის კომპონენტის ამოქმედება და სტუდენტებისთვის კვლევებში მონაწილეობისათვის მეტი შესაძლებლობის მიცემა.

დაწესებულების წარმომადგნელმა, მალხაზ ღვინჯილიამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან პრაქტიკული კომპონენტის გაზრდასთან

---

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას. მისი თქმით, დარგობრივი მახასიათებელი ბოლომდე არ არის შემუშავებული და როგორც კი შემუშავდება, უნივერსიტეტი აუცილებლად იხელმძღვანელებს დარგობრივი მახასიათებლის მიხედით. ამასთან, მათ აქვთ სამი ტიპის პრაქტიკა: საველე ზონალური, განთავსების სისტემებში, ტურ - ოპერატორის კოპანიაში, რომელიც დაწესებულებას აქვს. ასევე, მისი განმარტებით ახალ კურიკულუმში არის 6 კრედიტი. რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკას, უნივერსიტეტს აქვთ მემორანდუმები გაფორმებული 5 საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტთან, მათ შორის არის გერმანიის სტუმარ - მასპინძლობის ინსტიტუტი, სადაც შარშან გაიგზავნა კურიკულუმი, რომელიც მოიწონა ინსტიტუტმა და სავარაუდოა პრაქტიკის განხორციელება. ამჟამად 2 სტუდენტი იყოფება საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამით. რაც შეეხება ჯგუფების რაოდენობას ისინი ეთანხმებიან ექსპერტებს, შესაბამისად, უკვე გაითვალისწინეს მათი რჩევა და ჯგუფები შემცირდა, ხოლო სწავლება მორგებულია სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შერჩეულ დროზე, ასევე, სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოდიან მობილობით, რის გამოც იყო შემთხვევები, როცა სტუდენტთა რაოდენობა აღემატებოდა დაშვებულ ნიშნულს. კვლევით პროექტებში ჩართვასთან გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება ეთანხმება და შესაბამისად, უკვე არსებობს ახალი სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი, რომელიც მუშაობს ამ საკითხზე და რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება.

საბჭოს თავჯდომარემ ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან მე-3 რეომენდაცია, რომელიც მეტი გაცვლითი პროგრამის კომპონენტის ამოქმედებას ეხება. მან სთხოვა ექსპერტს განემარტა, რამდენად აუცილებელია საბაკალავრო საფეხურზე კვლევა? ასევე, ერთ-ერთი რჩევით, რომელიც ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომს, საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა და იკითხა, თუ რა ტიპის ნაშრომზე იყო საუბარი, რა საჭიროა საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი პროექტი და რას ემსახურება იგი?

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, საბჭოს თავჯდომარეს უპასუხა, რომ რეკომენდაციაში არ იგულისხმება ის კომპონენტი, რომელიც უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომთან არის დაკავშირებული, არამედ იგულისხმება ის კვლევითი კომპონენტები, რომელსაც სამეცნიერო კუთხით უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლექტორებითა და აკადემიური პერსონალის საშუალებით ახორციელებს, ასევე, ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა, რომ წახალისდეს მათი მუშაობა. შესაბამისად, რჩევა და რეკომენდაცია არ არის ერთმანეთთან კავშირში, არამედ, აქ საუბარია კვლევითი პროექტის შესახებ, რომელსაც უშუალოდ უნივერსიტეტი ახორციელებს, რაც სტუდენტთა ჩართულობას გულისხმობს და სტანდარტული საბაკალავრო ნაშრომის შესახებ, რომელსაც სტუდენტი ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ტურიზმი" არის ძალიან ფართო, რადგან მისი განხილვა შეიძლება როგორც პოლიტიკის, ისე - მენეჯმენტის კუთხით და ა. შ. რაც შეეხება კურიკულუმს, უნივერსიტეტს არჩევით ბლოკში აქვს ისეთი საგნები, როგორიცაა „უსაფრთხოება ტურიზმში", „ტურიზმის სამართლებრივი რეგულაციები", „რისკების მართვა", რომელიც მისი აზრით, უნდა ისწავლებოდეს სავალდებულო საგნებად, რაზეც ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა საკმაოდ დატვირთულია, როგორც სავალდებულო ისე არჩევითი კომპონენტით ტურიზმის მიმართულებით. სასწავლო კურსებით სტუდენტი ეტაპობრივად იღებს სწორედ იმ ინფორმაციას რაც ასახულია საბჭოს წევრის მიერ ჩამოთვლილ სასწავლო კურსებში, ხოლო თუ სტუდენტს დეტალურად სურს საკითხების შესწავლა, შეუძლია აირჩიოს არჩევითი სასწავლო კურსი. ექსპერტის განმარტებით, სავალდებულოდ იმიტომ არ არის ჩამოთვლილი ეს საგნები, რომ არ მომხდარიყო საკითხების გადაფარვა. ამასთან, პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტი ახორციელებს ორგანიზაციებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეჯერებას, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს კურიკულუმში ეს საკითხი კარგად აქვს დაფარული.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ მისი აზრით, საგანი „რისკების მართვა" დასამატებელია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნად, რადგან მენეჯმენტი და ამ სფეროში მოღვაწეობა

რისკების გარეშე წარმოუდგენელია. რაც შეეხება „ტურიზის ბიზნესის სამართლებრივ რეგულაციას", მათ აქვთ საგანი „ტურიზმის სამართლებრივი რეგულაციები", რომელიც უნდა იყოს სავალდებულო და დაკონკრეტდეს შინაარსი ტურიზმში მოღვაწე ადამიანების სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე, მისი თქმით, სასურველია, „პროექტების მართვის" დამატება, რადგან საპროექტო მართვის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის მოღვაწეობა ტურიზმში, რადგან კონკრეტული ტურისტული ჯგუფის ჩამოყვანაც კი პროექტია. საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არის საგანი „ფინანსური აღრიცხვა ერთი" და დაინტერესდა რა დატვირთვა აქვს ამ საგანს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია არის ტურიზმის ბაკალავრი, რომელიც ითვალისწინებს დაბალი ან საშუალო ჯგუფის მენეჯმენტს, ანუ თუ სტუდენტს მოუწევს ტურისტულ სააგენტოში მუშაობა კურიკულუმში წარმოდგენილი საგნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა.

საბჭოს წევრის თქმით საგნის შინაარსში მოცემული საბუღალტრო პრინციპები და მისი განვითარება კარგი იქნებოდა, თუმცა მენეჯერული აღრიცხვის, ბიუჯეტირების სწავლა უფრო უპრიანი იქნება ვიდრე ბალანსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათ კურიკულუმზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. მისივე თქმით, „უსაფრთხოება ტურიზმში", მოიცავს ტურისტების უსაფრთხოებას ველზე, კონკრეტულ ტურისტულ მარშრუტზე, შესაბამის პირველად ცოდნას კრიტიკულ სიტუაციაში, მაგრამ ამის ცოდნა ყველასთვის სავალდებულო არ არის რადგან პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებენ 3 მიმართულებით: საველე ზონალურ პირობებში, ტურ-ოპერატორულ კლინიკაში, განთავსების სისტემაში: სასტუმრო და სხვა დაწესებულებაში, სადაც სტუდენტებს ბუნებრივ კატაკლიზმებთან არ ექნებათ შეხება. რაც შეეხება „ტურიზმის სამართლებრივ რეგულირებას", მასში განიხილება ის რეგულაციები, რაც დაკავშირებულია ტურისტებთან, და აქ ასევე მოცემულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ მოწონებული კანონთა ნუსხა. მისი თქმით, ისინი ზრდიან ტურიზმის სპეციალისტს, რომელსაც ექნება მრავალმხრივი და ფართო ცოდნა, სწორედ ამიტომ არის საგანმანათლებლო პროგრამაში საგანი „ფინანსური აღრიცხვა ერთი", რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, შექმნას ელემენტარული ბალანსი ტურიზმში, დამოუკიდებლად აწარმოოს ტურისტული პროდუქტი, ქონდეს გათვლები, კალკულუსები, რათა არ დასჭირდეს დამატებით ბუღალტრის აყვანა. საგანმანალებლო პროგრამა მიმართულია ტურიზმის კვალიფიციური სპეციალისტის შექმნისკენ.

14:55 საათზე ეკა ეკალაძე შემოუერთდა სხდომას.

საბჭოს წევრის გიორგი თურქიას აზრით, საგანი „რისკების მართვა ტურიზმში" აუცილებელია, ხოლო „ფინანსური აღრიცხვა 1", როგორც დაწესებულების, ისე მისი აზრით, საჭირო საგანია, თუმცა სჭირდება შემდგომი განვითარება, რის შესახებაც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ არჩევით მოდულში სტუდენტს შეუძლია მისი განვითარება. მისივე განმარტებით, ისინი მომსახურების სერვისის რანგში გადიან, ისინი განიხილავენ ყველა სფეროს, რომელიც უკავშირდება ტურიზმს, კურიკულუმი შეიქმნა საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციების შესაბამისად, საგანი რისკების მართვა მენეჯმენტის სფერო უფროა, რომელიც აქვთ არჩევით კურსად, სადაც უსაფრთხოება ტურისტის უსაფრთხობაზეა ორიენტირებული.

ექსპერტმა დასძინა, რომ ტურიზმის საფუძვლების კომპონენტი პირველი კურსიდან მეოთხე კურსის ჩათვლით ეტაპობრივად, ძალიან კარგად არის ჩასმული, რადგან ტურისტულ სააგენტოში სტაჟირებამდე სტუდენტი იძენს აუცილებელ საჭირო უნარებს როგორიცაა: ტურის შედგენა, დაგეგმვა და ა.შ. საგნებში კი მეტ-ნაკლებად გაანალიზებულია რისკები, რამდენადაც ლექტორი მოიცავს ამ საკითხს.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ მომსახურების სფეროც ბიზნესია, თუნდაც აუდიტის მომსახურება და ა.შ. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში მეტ-ნაკლებად მოცემულია ისეთი საგნებიც, როგორიცაა „ტურიზმის სტატისტიკა", რაც არჩევითი საგანია და მოიცავს ელემენტარულ

საბაზო სტატისტიკას. საბჭოს წევრის აზრით, კარგი იქნება საგანმანათლებლო პროგრამაში ყურადღება გამახვილდეს სამედიცინო ტურიზმზე. ასევე, ზოგადად ბევრი საგანია წარმოდგენილი, თუმცა მისი თქმით, სასურველია პრაქტიკული სიტუაციების (ქეისების) განხილვას მეტი დრო დაუთმონ, რომ ისინი სილაბუსებში იყოს ინტეგრირებული.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა, მოხდა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის დადარება დარგორივი მახასიათებლის დოკუმენტთან და საჭიროების შემთხვევაში რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს ამ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შეფასებისას რა ინდიკატორები გამოიყენეს ექსპერტებმა? მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელსაც და ჰკითხა, აქვთ თუ არა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას და სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლს, ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სწავლის შედეგების მიღწევის სირთულესთან დაკავშირებულ გამოკითხვებს, რადგან საშუალოდ სტუდენტთა 80%-ის შეფასება არის დამაკმაყოფილებელი, რაც სავარაუდოდ იწვევს დასაქმების დაბალ მაჩვენებელს. 2018 წელს საერთო 34% დან 23% არის დარგობრივი მიმართულებით, რაც კრიტიკულად დაბალია. ის დაინტერესდა რა იყო ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი. ასევე, მისი თქმით, „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შრომის ბაზარს მიაწოდოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, დემოკრატიულ, ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული სპეციალისტები ტურიზმში, რადგან დასაქმება ასეთი დაბალია, ის დაინტერესდა ხომ არ ფიქრობენ დაწესებულების წარმომადგენლები, რომ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ხარვეზები ამ მიმართულებით. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი შედეგებიდან და სილაბუსებიდან გამომდინარე ხელოვნურად არის გაყოფილი, მაგალითად, „საქართველოს ტურისტული რეკრეაციული რესურსები" და „სამკურნალო ტურიზმი და რეკრეოლოგია", „კულტურული ტურიზმი და ეთნოგრაფიული ტურიზმი". მისი აზრით, სასურველია, რესტორნის და სასტუმროს მენეჯმენტი გაერთიანებულიყო ჰორეკა მენეჯმენტში. გამოთავისუფლებული კურსებიდან, მაგალითად, მენეჯმენტიდან წამოსაღებია საგანი „სერვისული ორგანიზაციების ხარისხის კონტროლი". ასევე, მისი თქმით, გარდა თეორიული კურსებისა, კარგი იქნებოდა, სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ კონკრეტული უნარების განმავითარებელი კურსები, მაგალითად, კომუნიკაცია, ლიდერობა და ა.შ. კურსის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი თანამედროვე მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა თანამედროვე მედია, კომუნიკაციები ტურიზმში, რაც წარმოადგენს გაყიდვების უდიდეს ნაწილს, არ არის წარმოდგენილი მეწარმეობის განმავითარებელი კურსები, რომელიც ასწავლის გაყიდვებს, კვლევიდანვე ჩანს, რომ დამსაქმებლების მოთხოვნა ამ უნარებიან სპეციალისტებზე დიდია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანი ქვათაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, მორგებულია ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და ჯერ-ჯერობით რთულია დასაქმების მაჩვენებლის შეფასება. ხოლო ძველი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისინი ატარებდნენ კვლევას სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხვდებოდნენ ფოკუს ჯგუფებს, დამსაქმებლებს, ისინი ითვალისწინებდნენ დასაქმების სტატისტიკას, ლუმეს დაუკვეთეს კვლევა, რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმის მიმართულებით შრომის ბაზარს უკეთ მორგებულიყო, გაეძლიერებინათ პრაქტიკული უნარები სტუდენტებისათვის და საგანმანათლებლო პროგრამა მეტად კონკურენტუნარიანი ყოფილიყო ვიდრე ძველი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ბიზნეს ადმინისტრირების ქუდის ქვეშ არსებობდა. მისი განმარტებით, ეს საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს სუფთა ტურიზმის ბაკალავრის ხარისხს, ის მორგებულია შრომის ბაზარს, შესაბამისად, შეცვლილია საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი შინაარსი და მოსალოდნელია დასაქმების სტატისტიკის გაზრდაც. მისივე თქმით, რადგან თვითშეფასების ანგარიში მოითხოვს ბოლო 5 წლის მაჩვენებელს მათ მოცემული აქვთ ძველი საგანმანათლებლო პროგრამის მაჩვენებელი. რაც შეეხება საგნებს, არ ჩათვალეს საჭიროდ ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში შეეთავაზებინათ არჩევით სასწავლო კურსებად: „მეწარმეობა", „გაყიდვების მენეჯმენტი" და ბიზნესადმინისტრირების სხვა საგნები, რომელიც გაწერეს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში. მათ სპეციალობის

სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მოარგეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს და მისი ქუდის აღმწერს.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:10 საათზე

დასრულების დრო: 15:30

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ **საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება,**

კერძოდ, მე-2 სტანდარტში „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა-ქვეკომპონენტი 2.3 ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ქვეკომპონენტი 2.4 ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ქვეკომპონენტი 2.5 ნაცვლად „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთნ" შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ქვეკომპონენტი 2.6 ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტისმოთხოვნებთან", რომლის შედეგად მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკული უნარების შეძენისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტისთვის გათვალისწინებულია პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია კრედიტის მოცულობის გაზრდა;
ბ) რეკომენდებულია სასწავლო პროცესი (სასემინარო/პრაქტიკული) მიმდინარეობდეს მცირე ჯგუფებში (25-30), უფრო მეტი ეფექტურობისთვის/ხარისხისთვის და სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის თვალსაზრისით;
გ) რეკომენდებულია უფრო მეტი გაცვლითი პროგრამის კომპონენტის ამოქმედება და მეტი შესაძლებლობები სტუდენტებს კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის;
დ) დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი;
ე) სასწავლო კურსების შინაარსი გამრავალფეროვნდეს პრაქტიკული მაგალითებით;
ვ) ხარისხის მექანიზმების შედეგად გამოკვეთილი საკითხები (დამსაქმებლის მიერ აღწერილი პრობლემები) აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაში ან მისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში არსებობდეს დასაბუთებული მტკიცებულება;
ზ) სასწავლო კურსებში არსებული უნიფიცირებული სწავლება-სწავლის მეთოდები გადაიხედოს და თითოეულმა კომპონენტმა გაითვალისწინოს კონკრეტულად ამავე კომპონენტით მისარწევის სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც ამავე დროს შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის №3 ბრძანების მოთხოვნებს;
თ) სასწავლო კომპონენტებში განახლდეს ლიტერატურა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

- ☐ აკრედიტაციის შესახებ
- ✓ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია.

2. მეორე საკითხი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[8]	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[9]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 25 თებერვალი, №33
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[10]	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[11]	საბაკალავრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[12]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[13]	
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[14]	საქართველო, 0144, თბილისი, წინანდლის ქუჩა N9.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

---

[8] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[9] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[10] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[11] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[12] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[13] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[14] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

ზუმის (Zoom meeting) საშუალებით ჩაერთნენ ექსპერტები და დაწესებულების წარომადგენლები.

საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ალექსანდრე რუსეცკიმ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამამ დატოვა პოზიტიური შთაბეჭდილება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროგრამაზე გაიცა დიდი რაოდენობით რჩევები, განსაკუთრებული რეკომენდაციები კი არ ჰქონიათ. რჩევების დიდი ნაწილი მისაღები იყო დაწესებულების წარმომადგენლებისათვის, რამდენიმე რჩევის გარდა, რომელიც ერთი მხრივ ეხებოდა საინფორმაციო პოლიტიკას, კონკრეტულად, ვებ-გვერდზე იყო ხარვეზები, რაც გამოსწორდა, მეორე საკითხი კი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ბიუჯეტს, რადგან ვერ მოიძებნა დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი ბიუჯეტის შესახებ. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა რჩევების გარკვეულ ნაწილზე ექსპერტებს მისწერეს პასუხი, ხოლო ნაწილს იზიარებენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ვებ-გვერდზე დევს ძველი საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო ახალი საგანმანათლებლო პროგრამა განთავსდება აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ. რაც შეეხება ბიუჯეტს, მისი თქმით, ის გადმოგზავნილია ცენტრში. ექსპერტმა დააზუსტა, რომ ბიუჯეტი გადმოგზავნილია, თუმცა განმარტებული არ არის განვითარების გეგმა. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტს უპასუხა, რომ მათ აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების გეგმა და მოთხვნის შემთხვევაში მას აუცილებლად გადმოაგზავნიდნენ.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი ავტორიზაციის საბჭოს განსახილველი საკითხი უფროა.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა მიმართა ექსპერტს დასაქმების პოლიტიკის შესახებ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით და თქვა რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი, რომელმაც შექმნა დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომელთანაც საქართველოს სტუდენტურ ორგანიზაციას ხშირად აქვს ურტერთობა დასაქმების კუთხით და მისი თქმით, ეს სამსახური საკმაოდ აქტიურია, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რა იყო საფუძველი ამ რჩევის გაცემისა, რომ მსგავსი სახის სტრატეგია არ არსებობს.

ექსპერტმა საბჭოს წევრს განუმარტა, რომ უნივერსიტეტს აქტიური კომუნიკაცია აქვს დამსაქმებლებთან, სტრატეგია აქვთ, თუმცა უმჯობესია დოკუმენტის სახით რომ არსებობდეს, იმისათვის, რომ ვიზუალურად ჩანდეს რა აქვთ დაგეგმილი. ექსპერტის თქმით, დასაქმების თვალსაზრისით, სტუდენტთა 35% დასაქმებულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში, როცა საქართველოში საუნივერსიტეტო საწარმოო სისტემა ამ დონეზე განვითარებული არ არის.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სამსახურში სამოქმედო სტრატეგიული გეგმა არსებობს და ასევე, ამ სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილი აქვთ სტუდენტების დასაქმების სტრატეგია. სწორედ, ამიტომ გაუჩნდათ საბჭოს წევრებს კითხვა.

საბჭოს წევრი თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა რომელი რჩევა გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელმა და ასევე, ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რჩევა, რომ მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებობს კრიზისული ფსიქოლოგიის საგანი, მაგრამ სასურველია, კლინიკური ფსიქოლოგიის ბლოკს დაემატოს უშუალო სუიციდოლოგიის საგანი. ასევე, სასურველია, განათლების ფსიქოლოგიის და განვითარების კონცენტრაციას დაემატოს გარკვეული საგნები. საბჭოს წევრი დაინტერესდა ეს რჩევაა თუ რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ერთ-ერთი რჩევა ის იყო, რომ განათლების ფსიქოლოგიის და განვითარების კონცენტრაციას დაემატოს კარიერის განვითარების ინოვაციური მეთოდები და სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდები. კარიერის განვითარების ინოვაციური მეთოდები უნივერსიტეტში ისწავლება და თავისუფალი სასწავლო კურსებიდან შესაძლებელია მისი არჩევა, ხოლო მეორე საგანს დაამატებენ თავისუფალ კრედიტებში. მეორე რჩევა, რომ სწავლებაზე ორიენტირებული სტუდენტების რაოდენობის შემცირებისათვის სასარგებლო იქნებოდა მათი განათლების მიმართ განწყობის ტრანსფორმაცია, რომლის შესაძლებლობას საქართველოში იძლევა სი მეთოდი, შესაბამისად, თუ შესთავაზებს ექსპერტი ამ მეთოდს, ისინი აღმოფხვრიან ამ პრობლემას. რაც შეეხება ლიტერატურის განახლებას ისინი ეთანხმებიან ექსპერტებს, შესაბამისად, შეცვლიან და განაახლებენ ლიტერატურას.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფი სისტემურად მიუდგა საკითხს და მათი მიზანი იყო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში არის განათლების ფსიქოლოგიისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კონცენტრაცია, კარიერული მართვის სილაბუსი კი ამ ორი კონცენტრაციის გადაკვეთაზეა. რაც შეეხება სუიციდის პრევენციის თემას, გიორგი დონაძე არის ერთადერთი ექსპერტი, რომელიც არის მათი პროფესორი და კითხულობს კრიზისების რისკის საგანს, ხოლო სუიციდის საკითხზე მხოლოდ ბათუმის უნივერსიტეტში კითხულობენ ლექციებს, ეს საკითხი აქტუალურია და სასურველია ამ საგნის ჩასმა საგანმანათლებლო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათი აზრით, უმჯობესია ამ საგნის ჩასმა საგანმანათლებლო პროგრამაში მაგისტრატურის საფეხურზე, ბაკალავრიატშიც არ არის მისი გაკეთება პრობლემა, თუმცა გიორგი დონაძესთან კომუნიკაციის შემდეგ ისინი შეჯერდნენ, რომ მისი გაკეთება მაგისტრატურის საფეხურზე უმჯობესი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა მისი აზრი რომ სუიციდის პრევენციის საგნის არსებობა უმჯობესია მაგისტრატურის საფეხურზე, მისი აზრით, ამ მხრივ, დიდი სიფრთხილეა საჭირო.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:58

დასრულების დრო: 16:17

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ **საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება,**

კერძოდ, საბჭომ რჩევები მიიჩნია რეკომენდაციებად და შესაბამის სტანდარტში ასახული შეფასება „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭომ დაამატა შემდეგი რეკომენდაცია:

სასწავლო კურსებში არსებული სწავლება-სწავლის მეთოდები გადაიხედოს და თითოეულმა კომპონენტმა გაითვალისწინოს კონკრეტულად ამავე კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, რომელიც ამავე დროს უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 ბრძანების მოთხოვნებს.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება:

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტსა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნიერსიტეტის სეუს „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო აგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[15]	საქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[16]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 10 დეკემბერი, №258
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[17]	საქართველოს ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[18]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

[15] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[16] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ა

[17] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[18] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

8	კვალიფიკაციის დონე[19]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[20]	
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[21]	საქართველო, გორი ჭავჭავაძის, 1400, ქ. N68, სასწავლო კორპუსი №1.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

ზუმის (Zoom meeting) საშუალებით ჩაერთნენ ექსპერტები და დაწესებულების წარომადგენლები.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თეიმურაზ პაპასკირმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში შედგა 2019 წლის 20 ოქტომბერს. მისი თქმით, საგანმანაათლებლო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან, მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამა პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდართან შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო მე -2 სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ექსპერტის თქმით, სასურველია გამრავალფეროვნდეს აქტივობები რომელსაც იყენებენ ლექციის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნაშივე წერია, რომ გამოყენებული მეთოდები სწავლის შედეგებს აღწევს, თუმცა სასურველია, პროფესორებმა გაამრავალფეროვნონ მეთოდები, რასაც ისინიც ეთანხმებიან და საბჭოს წევრებს სთხოვს რეკომენდაცია გადაიტანონ რჩევებში, რადგან ეს სათუთი საკითხია და პროფესორის ამ სფეროში ჩარევა აკადემიური თავისუფლების დარღვევას ნიშნავს. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, მიიღწევა, შესაბამისად, ეს რჩევა უფროა, ვიდრე რეკომენდაცია. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას ექსპერტის დასკვნაშივე წერია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში სტუდენტს პრობლემის გადაჭრა უნდა შეეძლოს, ბაკალავრისა და მაგისტრანტურის საფეხურზე სტუდენტს მოეთხოვება და უნდა შეეძლოს კომპლექსური პრობლემის გადაჭრა უახლესი მეთოდებით. რაც შეეხება შეფასების სქემას, 3 შეფასებას, 2 შუალედურს და 1დასკვნით გამოცდას, ის ზოგიერთ სასწავლო კურსშია და ამაში პრობლემას ვერ ხედავენ. პერსონალის პროფესიულ განვითარებას რაც შეეხება, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულია ბევრი ღონისძიება 2014 -2019 წლამდე, თუმცა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ რადგან პერსონალის პროფესიული განვითარება მუდმივი პროცესია.

---

[19] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[20] მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[21] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ გამოხატა დიდი პატივისცემა დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ, მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია საგანი, რომელიც ეხება კვლევის დიზაინს და კვლევის მეთოდებს, თუმცა აკადემიურ წერასთან მიმართებაში გაუჩნდა გარკვეული უკმარისობის განცდა, რადგან თითქმის ყველა საგანში წარმოდგენილია საკურსო ნაშრომი, რომლის მომზადება აკადემიური წერის ნორმების გარეშე წარმოუდგენელია. საბჭოს წევრის თქმით, სილაბუსის შინაარსი არ ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომ კონკრეტული საკითხები აკადემიურ წერასთან მიმართებით არის ლექციების პირობებში განხილული, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ამ სახით აკადემიური წერა არ არის მოცემული, მათ ის კომუნიკაციების სახით აქვთ წარმოდგენილი, რომელიც საბაკალავრო საფეხურის დონეს პასუხობს. ის დაინტერესდა რას ფიქრობს ექსპერტი ამ მხრივ და ხომ არ უფიქრია დაწესებულებას ამ სილაბუსის განახლება? მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია კვლევის მეთოდები და დიზაინი, რომელიც აკადემიური წერის ნაწილს არ მოიცავს. თავად საგანმანათებლო პროგრამა არის სამაგისტრო და თითქმის ყველა საგანში იწერება საკურსო ნაშრომი, რაზეც ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო არ არის აკადემიური წერის არსებობა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ძირითადი აქცენტი გააკეთეს მეთოდებზე და ნაშრომის შექმნაზე, სილაბუსები კი მოიცავს აკადემიური წერის გარკვეულ ასპექტებს, რომელიც ასახულია ლიტერატურაში.

რჩევა-რეკომენდაციები: საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. მისი თქმით, საგნის „საქართველო და ბიბლიური სამყარო" სილაბუსი საინტერესოა, თუმცა ის უფრო კონცენტრირებულია იერუსალიმზე და ქართველებზე იერუსალიმში. შესაბამისად მისი რჩევაა სახელწოდების დაზუსტება. ასევე, საგანში „ქართული სახელმწიფო და ეკლესია", უმჯობესი იქნებოდა, დაეზუსტებინათ საკითხები, რათა არ მოხდეს დუბლირება, საბაკალავროსა და სამაგისტროს სილაბუსებს შორის. მისი თქმით, სასურველია, სხვა ეკლესიების ისტორიის საკითხი ისტორიულ ჭრილში განხილულიყო. მისივე თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში აქცენტი გაკეთებულია რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებზე, თუმცა სასურველია, სილაბუსში დაზუსტდეს საკითხები, მიეთითოს კვლევითი და ანალიტიკური ნაშრომები იმ თემებზე, რომელიც ჩაშლილია სილაბუსში და აქცენტი გაკეთდეს საქართველოს შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ საგნის „ქართველები და ბიბლიური სამყარო" სილაბუსის ავტორი მონოგრაფიის ავტორია, რომელიც ეხება ამ თემას თუმცა სილაბუსის კორექტირება შესაძლებელია.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს და ექსპერტებს დაეზუსტებინათ კვალიფიკაცია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული იყო საქართველოს ისტორიის მაგისტრი, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი.

ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო საქართველოს ისტორიის მაგისტრი, ხოლო თვითშეფასებაში იყო დაშვებული შეცდომა.

დაწესეულების წარმომადგენლის თქმით, ეთნიკურ უმცირესობასთან დაკავშირებულ საკითხებს ინტენსიურად იკვლევს პროფესურა და შეუძლიათ ამ ნაშრომების წარმოდგენა სილაბუსებში.

საბჭოს წევრის თქმით, ანალიტიკური და კვლევითი ნაშრომების გაცნობა მაგისტრანტებისთვის უფრო საინტერესოა, შესაბამისად, სასურველია მიუთითონ უნივერსიტეტის პროფესურის შრომები.

სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო :16:51

დასრულების დრო:16:58

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერის

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ **საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.**

საბჭომ გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სასურველია, პროფესორებმა გაამრავალფეროვნონ მეთოდები და განსაკუთრებით აქტივობები, რომლებსაც ისინი იყენებენ ლექციების დროს;

ბ) გამოყენებულ იქნას საკურსო ნაშრომის ახალი, მაგისტრატურის დონესთან შესაბამისი კრიტერიუმები;

გ) შესწორდეს შეფასების სქემა იმ სილაბუსებში, სადაც გამოყენებულია სამპუნქტიანი შეფასების სქემა;

დ) გარდა დარგის განვითარებაზე მიმართული აქტივობებისა, სასურველია უსდ-მ განახორციელოს ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლა -სწავლების მეთოდებზე, შეფასების კრიტერიუმებსა და სილაბუსის სხვა მეთოდურ ნაწილებთან დაკავშირებით;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის ლიტერატურა გამდიდრდეს ანალიტიკური და კვლევითი კომპონენტებით;

ვ) სამაგისტრო საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე ისწავლებოდეს შესაბამისი კვლევითი მეთოდები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისდა 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისდა მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ დატოვა სხდომა 17:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. მეოთხე - საკითხი შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[22]	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[23]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 12 სექტემბერი, №118
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[24]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[25]	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[26]	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[27]	
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
13	განხორციელების ადგილი[28]	საქართველო, ქ.თბილისი, 0114, მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5. შპს - სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის ერთსაფეხურიანი „დიპლომირებული მედიკოსის" (ქართულენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[29]	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[30]	აკრედიტებული

[22] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[23]ავტორიზებულიან/დახელახალი აკრედიტაცია;
[24]საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[25]ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[26]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[27]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[28] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[29] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[30]ავტორიზებულიან/დახელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 12 სექტემბერი, №117
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[31]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[32]	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[33]	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[34]	
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო, 0114, თბილისი, მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

სხდომა განახლდა 17:51 საათზე.

საბჭოს სხდომას Zoom - ის საშუალებით შემოუერთდნენ საბჭოს წევრები: ნინო დობორჯგინიძე და ირმა წერეთელი.ზუმის (Zoom meeting) საშუალებით ჩაერთნენ ექსპერტები და დაწესებულების წარომადგენლები.

საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

---

[31]საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[32]ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[33]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[34]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია ორივე საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2020 წლის 29-30 იანვარს, სადაც მოხდა ქართულ და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება. ექსპერტის თქმით, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა და ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან. ექსპერტი ესაუბრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, დამსაქმებლებს და სტუდენტებს. საგანმანათლებლო პროგრამას კურსდამთავრებულები არ ჰყავს, შესაბამისად, ისინი შეხვდნენ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს. დაათვალიერეს კლინიკური ბაზები, სასწავლო აუდიტორია, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის დასასრულს ექსპერთა ჯგუფმა ადმიანისტრაციას გააცნო ძირითადი მიგნებები.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი რეკომენდაცია ეხება მისიის განაცხადს: უნივერსიტეტის მისიაა გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა მთელი ძალისხმევა იქით უნდა მიმართოს, რომ შეიძინოს არაერთი საერთაშორისო პარტნიორი, იმისათვის, რათა ურთიერთობა უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერი გახადოს. ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტში კვლევისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმასთან შეთანხმებულად, სტუდენტების მონაწილეობით, იმისათვის, რომ კვლევის შედეგები იმპლენტირებული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში და მოახდინოს გავლენა აკადემიურ პროცესებზე. ექსპერტის თქმით, შემდეგი რეკომენდაცია არის, ის, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა „გეომედი", უნდა შეიმუშაოს თანამშრომლობითი მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიმართულებით, განსაკუთრებით კლინიკური, აკადემიური განმახორციელებელი პერსონალის კოლაბორაციის უზრუნველყოფით, რომელთაც სასწავლო კურსების განხორციელების კუთხით აქვთ მაღალი კვალიფიკაცია და არიან გამოცდილები, თუმცა სასურველია მათი მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში. მისი თქმით, ვიზიტისა და ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოვლინდა დეკანისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა კურიკულუმის მომზადების თვალსაზრისით, სასურველია, მხოლოდ ისინი არ იყვნენ პასუხისმგებელნი აღნიშნულ პროცესებზე, არამედ, პროცესების დოკუმენტურად გაწერაში ჩანდეს გუნდური მუშაობის პრინციპი და საგანმანათლებლო პროგებრამები უმჯობესდებოდეს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. მისი თქმით, ასევე, სასურველია, სტრატეგიული, მუდმივი, თანმიმდევრული და სტრუქტურირებული მიდგომა, რათა შემოღებულ იქნას შედეგების მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების პროცედურები, რაც სამოქმედო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების წინაპირობა იქნება. რაც შეეხება თავად სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას, პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისად არის შეფასებული აკრედიტაციის მოთხოვნებთან.

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტის თქმით გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ეხება მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის ე.წ. სტანდარტის მოთხოვნებს. დარგობრივ დოკუმენტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული 10 კრედიტის ვალდებულება კლინიკური უნარების განვითარების ლაბორატორიაში მიმდინარე კურსებისა, რომელთა მიზანია სტუდენტებს შორის პრაქტიკული უნარების გამომუშავება. კლინიკური უნარები, როგორც ინტეგრირებული კურსები სხვადასხვა მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამაში ნამდვილად არის, საიდანაც ერთი სასწავლო კურსი არის ცალკე, რომლის მოცულობაა 2 კრედიტი, დანარჩენი 8 კრედიტი ინტეგრირებულია სხვადასხვა მოდულებში, სადაც ჩანს აუდიტორიული საათების რაოდენობა განსაზღვრული ლექციებისა და სემინარების სახით, თუმცა ტექნიკურად არ ხერხდება ზუსტად ამ 8 კრედიტის დათვლა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იტვალისწინებს ამ საათებს, თუმცა სილაბუსების დეტალური შესწავლის შემდეგ მათ დაადგინეს, რომ კლინიკებში, რომლებთანაც დაწესებულებას მემორანდუმები აქვს

გაფორმებული, შესაძლებელია აღნიშნული საათების გამომუშავება, ანუ ის, რომ კლინიკური უნარების ლაბორატორიაში მანეკენებზე და მულაჟებზე ხდება აღნიშნული უნარების გამომუშავება ზუსტად 8 კრედიტის სახით ვერ დათვალეს, შესაბამისად, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში ჩანდეს, თუ სად გამომუშავდება უნარები და რამდენი კრედიტით. ექსპერტის თქმით, იმისათვის რომ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ სწავლის შედეგების კომპლექსური კლინიკური უნარების შეფასებისა, მიზანშეწონილია, შემუშავდეს ინტეგრირებული კითხვები, საგამოცდო ტესტები, რაც საბოლოოდ მიიყვანს მაინტეგრირებელი სესიის შედეგამდე, შესაბამისობაში იქნება დარგობრივ დოკუმენტთან, რომლის მოთხოვნაც არის ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავება, მისი ერთ-ერთი მახასიათებელია ინტეგრირებულ კურსებში მაინტეგრირებელი სესიების გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მნიშვნელოვანია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოთხოვნების გათვალისწინება. ექსპერტის თქმით, შემდეგი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასების რუკას, სადაც ხდება თითოეული მოდულის სწავლის შედეგის შეფასება, გამოტანილია ყველა დარგობრივი კომპეტენცია (სულ 13), მითითებულია თითოეულის სწავლის შედეგი რომელ დონეზე იქნება გამომუშავებული ამა თუ იმ მოდულში და ცხრილში. მისი განმარტებით, სწავლების მე-4 წლიდან ყველა კურსში, რომელიც ხორციელდება 6 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ცამეტი კომპეტენცია სტუდენტს მე-3 დონეზე გამოუმუშავდება. ექსპერტის თქმით, ეჭვს იწვევს რომ მე-4 კურსიდან 13 დარგობრივი კომპეტენცია განვითრდება, ჩათვალეს რომ სტუდეტის მიერ გამომუშავებული ესა თუ ის კომპეტენცია ამა თუ იმ დონეზე სამი წლის განმავლობაში უნდა ითვლებოდეს, მაგალითად, პაციენტის კონსულტაციის უნარი და კლინიკური შემთხვევის შეფასების უნარი. ექსპერტის აზრით, დაუჯერებელია, სტუდენტმა რომელიმე სასწავლო კურსის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 წელს შეძლოს ამ კომპეტენციების გამომუშავება ისე, რომ არ მოხდეს მისი მე-5 და მე-6 წელს გაღრმავება. დარგობრივი კომპეტენციების განსაზღვრისას, აკადემიური პერსონალი უნდა იყოს უფრო ზუსტი თითოეული კურსის სწავლის შედეგებზე მუშაობის დროს. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში გვხვდება სასწავლო კურსები და მოდულები, რომელთა სწავლის შედეგები გაწერილია გაუაზრებლად, მაგალითად, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები სწავლის შედეგები, რომლის სწავლის შედეგებშიც მითითებულია პაციენტის კონსულტაცია, წამლების გამოწერის უნარი, ასევე, სწავლების „ლაიფ საიენსის" (Life science) ბლოკი, რომელიც აერთიანებს ბიოლოგიას, ჰისტოლოგიას, ემბრიოლოგიას, ბიოქიმიას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოფიზიკას - ამ ინტეგრირებულ ბლოკს სწავლის შედეგებში გაწერილი აქვს პაციენტის კონსულტირების უნარი, როგორც დარგობრივი უნარი, ამასთან წამლის გამოწერის უნარი, რომელიც ვერ იქნება ამ ბლოკის შედეგი. უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკის გარდა საქართველოს სხვა ლიცენზირებულ სტრუქტურებში სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და შედეგების შეფასების განსაზღვრა - აღნიშნული ჩანაწერი არის საგანმანათლებლო პროგრამიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან, საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა კურსებს, იმისათვის, რომ გამოიმუშაონ პრაქტიკული კლინიკური უნარები, გარდა პარტნიორი კლინიკებისა საქართველოს სხვა ლიცენზირებულ კლინიკებში, რაც ექსპერტის თქმით, ცოტა გაუგებარი იყო, გაუგებარი იყო ისიც, თუ რა მექანიზმებით მოხდება აღნიშნულ შედეგზე გასვლა, იმ კლინიკებში სადაც არ მუშაობს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი. რაც შეეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხს, რეკომენდაცია ვერ იქნა სწორად გაგებული და უკან დაუბრუდათ შეკითხვა. სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პერსონალს უნდა ესმოდეს და შეეძლოს ძირითადი საგანმანათლებლო მიდგომები და უმაღლესი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის დასაბუთება, რაც მისცემს მათ არჩევანის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას. კონტექსტუალური ინტეგრაციის გაღრმავების საჭიროება ინტეგრირებული საგნის ტესტების გაუმჯობესებითა და დახვეწით, რომ სასწავლო კურსების ინტეგრაცია არ იყოს მექანიკური სახით, მაგალითად, „ლაიფ საიენსის" (Life science) ბლოკი, ინტეგრირებული მოდული, რომელიც მოიცავს რადენიმე კურსს შეფასების ნაწილში ითვალისწინებს შუალდურ გამოცდებს სხვადასხვა დროს და ხდება ცალკეულ კურსებში მიღებული ცოდნის შეფასება, ექსპერტის თქმით, სასურველია, ინტეგრირებული სწავლის შედეგების შეფასება თანამედროვე მიდგომებით.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მე -3 სტანდარტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი აკრედიტაციის მოთხოვნებთან და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან რეკომენდაციები არ გაცემულა.

მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა განავითაროს უნარები და ცოდნა თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის მიმართულებით. ბოლო 2 წლის განმავლობაში სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილებები, რაც უკავშირდება ახალი დარგობრივი დოკუმენტის შემუშავებას. სამედიცინო სკოლები ეწევიან ინტენსიურ მუშაობას პერსონალის გადამზადების მიმართულებით, შეფასებისა და სწავლების მეთოდის მიმართულებით. ექსპერტის განმარტებით, ახალ დოკუმენტში ზუსტად არის გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არ ხორციელდებოდა ამ მიმართულებით. შესაბამისად, დიდი შრომა ჩაიდო იმაში, რომ პერსონალი გადამზადებულიყო სწავლებისა და შეფასების ახალ მეთოდოლოგიაში, აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს ინტეგრირებული კურიკულუმის იმპლემენტაცია წარმატებულად, ამასთან, შემცირდება გადაჭარბებული მოთხოვნა პერსონალზე. მისი განმარტებით, უნდა შეიქმნას პერსონალის განვითარების ძლიერი გეგმა, დამატებით თანამშრომელთა დასაქმების მოთხოვნა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის მიზნით, რადგან სტუდენტთა რაოდენობა არის რამდენიმე ათეული, ცხადია სტაბილურობის თვალსაზრისით ადამიანური რესურსია საჭირო, აუცილებელია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა კონსტრუქციული, ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგება, შეფასების ავთენტურობა, პორთფოლიოს დანერგვა, ფი ბი ელ (PBL), სი ბი ელ (CBL) და ახალი მეთოდის უფრო აქტიური დანერგვა.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ეხება შიდა და გარე მექანიზმების მუშაობას, მეთოდოლოგიის მიღებული მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პრობლემების გაუმჯობესების მიმართულებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცესის დემონსტრირება უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად და მუდმივად. დოკუმენტები უნდა მოიცავდეს პოლიტიკის დამტკიცების მოქმედების დაგეგმვისა და სხვა პროცესების შესახებ აღწერილობას, ინფორმაციას თანამშრომლების შესახებ, რომლებსაც აქვთ გარკვეული ვალდებულება და პასუხისმგებლობა. შიდა ხარისხის მექანიზმი უნდა ქმნიდეს სტანდარტულ მიდგომას, რომელიც გაწერილია დოკუმენტურად, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, პერსონალის, სტუდენტების ჩართულობის კუთხით. ჩართულობა უნდა მოიცავდეს დისკუსიასა და შეთანხმებას, გასატარებელ ღონისძიებებზე, სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, შედეგებისა და დარგების მეთოდოლოგიის გამოყენებით სამუშაოს ჩატარებას და საბოლოო შედეგის ოფიციალურად წარდგენას, სტუდენტებისა და პერსონალის სახით უკუკავშირის პრინციპებისათვის. ექსპერტის თქმით, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის წინა შეფასებისას იყო გაცემული გარკვეული რეკომენდაციები, რომელიც სრულად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში. დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის ეროვნული და საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად, სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა გასწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა დამატებითი საერთაშორისო პარტნიორების მოსაძიებლად, იმ არსებული პარტნიორების პარალელურად, რომლებიც მისცემენ მათ კონტექსტუალურ რჩევას საბოლოო მიზნების მისაღწევად. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესმა უნდა მიიღოს სტრუქტურირებული ფორმა, რათა უზრუნველყოს ყველა მთავარი დაინტერესებული მხარის ფართო, ღრმა, სისტემატური ჩართულობა და მონაწილეობა, მონაცემთა შემუშავების პროცესში, რათა დამუშავების შედეგად მიღებული ინფორმაცია ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს ასახავდეს, აძლევდეს შესაძლებლობას მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე, რომ მოხდეს გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღება.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოდგინა მათი პოზიცია.

დაწესეულების წარმომადგენელმა ნინო ჭიჭივეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პირველ სტანდარტთან დაკავშირებით 2018 წელს დაიწყეს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან,

კერძოდ, ჰყავდათ კონსულტანტები და თანახელმძღვანელები გერმანიისა და ამერიკის უნივერიტეტებიდან, ამ ეტაპზე კი მჭიდროდ თანამშრომლობენ ბამბერგისა (Universität Bamberg) და შტაინბაისის (university of Steinbeis) უნივერსიტეტებთან, რომლის წარმომადგენელიც მათი საერთაშორისო კვლევითი პროექტების მენეჯერია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო კვლევა „დიგიტალიზაცია და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე", ანუ კვლევითი არეების კონკრეტიზაცია, სადაც ჩართულია აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და პარტნიორი უნივერსიტეტები, ამ ეგიდით ჩაატარეს 2 საერთაშორიო სიმპოზიუმი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს კვლევა სკოლაში „ინტერნეტდამოკიდებულება ბავშვებში".

რაც შეეხება პირველი სტანდარტის მე -2 პუნქტს, აკადემიური პერსონალის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ ექიმები, რომლებსაც კარგად აქვთ გათვიცნობიერებული ინტეგრაციის მნიშვნელობა კლინიკური საგნების ასათვისებლად. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება კი მოხდა გუნდურად, რომელშიც გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, მონაწილეობა მიიღეს დამსაქმებლებმაც, ასევე გაითვალისწინეს საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციები და პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები სტუდეტებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ველიჯანაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, 10 კრედიტთან დაკავშირებით, რომ კლინიკური უნარები ცალკე კრედიტის სახით არ არის გამოტანილი, თუმცა სილაბუსებში საათობრივად არის მითითებული რამდენი საათი ეთმობა კლინიკურ უნარს, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით ნაწილში კი, კურიკულუმის რუკაშიც არის მითითებული საათობრივი დატვირთვა მოდულის თითოეული კომპონენტისთვის, მათ შორის კლინიკური უნარებისთვის. ეს არის ნორმის და პათოლოგიის მოდულების კლინიკური უნარები 200 საათი - 8 კრედიტი, კლინიკური უნარების შესავალი პირველ სემესტრში - 50 საათი - 2 კრედიტი, ასევე, სილაბუსში მითითებულია, რომ კლინიკური უნარები ნორმის და პათოლოგიის მოდულების შემთხვევაში უნივერსიტეტის კლინიკური უნარების გამომუშავება შესაძლებელია კლინიკებში სადაც გზავნიან სტუდენტებს. რაც შეეხება ინტეგრირებულ ტესტებს, ისინი ნორმის და პათოლოგიის მოდულის შემთხვევაში, არა მხოლოდ შუალედური და ფინალური გამოცდის დროს, არამედ მიმდინარე შეფასების დროსაც იყენებენ ინტეგრირებულ კლინიკურ ქეისებზე დაფუძნებულ ტესტებს, რაც დასკვნაშიც წერია. თითოეული საგნისთვის ცალკე ტესტის ფორმატით, მექანიკური ინტეგრაციის განსაზღვრისა და კონტექსტუალური ინტეგრაციის გაღრმავებით, ასევე, აღწერილობით ნაწილში წერია, რომ შემაჯამებელი ქვიზი მოდულის შემთხვევაში ტარდება ტესტური ფორმატით, რომელიც მოიცავს მოდულის ხუთივე საგნის საბაზო კომპონენტს და ეფუძნება კლინიკური ქეისის ფორმატს. ქეისები მოიცავს 15-15 ქეისს. შუალედურ გამოცდაზე ნახსენებია, რომ ტარდება ტესტური ფორმატით, ეფუძნება კლინიკურ ქეისებს, რომლებიც აგებულია მოდულის შემადგენლობაში შემავალი ხუთივე საგნის საბაზო კომპონენტის ცოდნაზე, იგივე წერია ფინალურ გამოცდებზე. მისი განმარტებით, ხუთივე ნაწილის საბაზო ცოდნაზე აგება ნიშნავს, რომ ტესტის ამოხსნისთვის სტუდენტს სჭირდება იცოდეს ინტეგრირებული სახით, ესმოდეს, მაგალითად, ქეისი იწყება შეკითხვით, რომ შემოიყვანეს პაციენტი ამა და ამ სიმპტომით, მოცემული მდგომარეობის მიხედვით, გამოყენებული მედიკამენტის მოქმედების მექანიზმი რას ეფუძნება, სტუდენტს ესაჭიროება დასვას დიაგნოზი, მოიძიოს ინფორმაცია საკუთარ ცოდნაში თუ რომელი მედიკამენტი უნდა გამოიყენოს, გაიხსენოს რა მექანიზმით მოქმედებს ეს მედიკამენტი. რაც შეეხება ფი ბი ელს, ის გამოყენებულია საგნებში, ასევე, სხვა მეთოდებიც, რომელიც საჭიროა მოდულის ინტეგრირებული ფორმატით ასათვისებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ცვლილება, რომელიც განხორციელდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, ეყრდნობოდნენ არა მხოლოდ მთელი გუნდის მოსაზრებებს, არამედ დამსაქმებელთა, სტუდენტთა, კურსდამთარებულთა მოთხოვნებს, რაც ასახულია ოქმებში. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ ზოგიერთი კომპეტენცია უფრო ნათლად უნდა იყოს ასახული, მან გახსნა სასწავლო კურსის კურიკულუმის რუკა და საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების რუკა მე-13 კომპეტენცია ჯანმრთელობის ხელშეწყობა, პროფესიონალიზმი და ა.შ იგი მე-3 დონით წარმოდგენილია მე -4, 5, 6 კურსებზე, რადგან პირდაპირ მე-3 დონით ვერ ასწავლიან. ჯერ არის დონე 1 - გაცნობა, ჯანმრთელობის

ფსიქოლოგია, ჯანდაცვის ორგანიზება მენეჯმენტში, ეპიდემიოლოგია - მათზე კომპეტენცია მითითებულია, როგორც მე-2 დონე, მე -4 და მე -5 კურსზე კი ხდება განმტკიცება, თითოეული კომპეტენცია იწყება პირველივე სემესტრიდან გაცნობით, მე - 3 დან მე- 6 მდე ანვითარებს, განმტკიცება ხდება მაშინ, როცა სტუდენტი კლინიკაში გადადის, სადაც მას ექნება უშუალო შეხება პაციენტთან და კლინიკურ ქეისებთან. 2.3 ქვესტანდატთან დაკავშირებით მარიამ ველიჯანაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეული საგნის სილაბუსის შემუშავებისას მითითებული იყო რა დონით და რომელ კომპეტენციაზე გადიოდა ეს საგანი, ეს განემარტათ პედაგოგებსაც, რომლებიც ეცადნენ, რომ მაქსიმალური სიზუსტით ჩამოეყალიბებინათ ეს ყველაფერი. რაც შეეხება 2.4 ქვესტანდართან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, მან თქვა, რომ შეფასების მეთოდოლოგია ძირითადად ემყარებოდა უნივერსიტეტის აფილირებულ კლინიკებს, სტუდენტებს იმ კლინიკებში, ვისთანაც ხელშეკრულება არ აქვთ დადებული ვერ გაგზავნიან, თუ ისინი სხვა ლიცენზირებულ კლინიკებში გაივლიან სტაჟირებას ოფიციალური მიმართვის გარეშე, იქაც იგივე შეფასების მეთოდოლოგია იქნება გამოყენებული, მორიგეობის დღიურები და ა.შ. 2.5 ქვესტნდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიურ პერსონალს, რომელიც უშუალოდ მუშაობს სილაბუსზე, არ შეიძლება არ ესმოდეს საგანმანათლებლო პედაგოგიკა, მისი განმარტებით, შეიძლება ექსპერტები შეხვდნენ მოწვეულ პერსონალს, რომლებიც უშუალოდ სილაბუსზე არ მუშაობენ, მან შეიძლება არ იცოდეს მეთოდოლოგია. მან აღნიშნა, რომ ბევრ აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა ფაკულტეტზე ტრენინგი მეთოდოლოგიებში: სტუდენტებზე ორიენტირებული ინტეგრირებული ფი ბი ელ (PBL), სი ბი ელ (CBL), იგეგმება პერსონალის გადამზადება ოსკის გამოცდებზე. თბილისის ივანე ჯავახიშვილი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეგზავნა ტრენინგების ჩატარების თხოვნა, პერსონალი სხვა წევრებისთვის, რომლებიც ამჟამად არიან სიაში. მათ შემუშავებული აქვთ გეგმა და სია რომელი პერსონალი რაზე უნდა დატრენინგდეს, პერსონალის დიდი ნაწილი კი დატრენინგებულია. რაც შეეხება ინტეგრირებულ ტესტებს და გამოცდებს, „ლაიფ საიენს" (Life Science) სიცოცხლის მეცნიერების შემსწავლელი ინტეგრირებული ბლოკი არ არის ინტეგრირებული მოდული, ის არის საგნების გაერთიანება, რომელშიც ინტეგრირებული ტესტები ვერ იქნებოდა შემოტანილი, იმიტომ, რომ ტექნიკურად შეუძლებელია ისეთი ტესტის გაკეთება, რომელიც სტუდენტის ცოდნას ბიოლოგიაზე, ქიმიაზე, ფიზიკაზე, ბიოფიზიკაზე, ჰისტოლოგიაზე და ა. შ ერთობლივად შეაფასებს, შესაბამისად, გადაწყვიტეს, რომ ეს ყოფილიყო ბლოკი და არა მოდული, შუალედური გამოცდები არის სხვადახვა დროს, ცალკე საგნებად ისწავლება და მათი გამოკითხვა ხდება ერთად ფინალურ გამოცდაზე, რომელიც არის ცალ-ცალკე ტესტების სახით წარმოდგენილი თითოეული საგნის კომპონენტებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ სოზიაშვილმა საბჭოს წევრებს მოხსენა, რომ 4.1 ქვესტანდართან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია არის პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის განმეორება, ხოლო 4.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, თქვა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის დატრენინგების განრიგი, რომელიც ექვედებარება მონიტორინგს. გეგმა კი წარდგენილი იქნა ვიზიტის დროს. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს პერიოდულად უტარდება ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში 12 აკადემიური პერსონალი დაესწრო გაიანე სიმონიას ტრენინგს „დარგობრივი მახასიათებლის გამოყენება მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს". მისი თქმით, ასევე მკაცრად არის აღრიცხული პერსონალის სია, რომლებსაც უკვე გავლილი აქვთ სი ბი ელ (CBL) ფი ბი ელ (PBL) მეთოდოლოგიის, ოსკის ტრენინგები, ისინი თსუ-თან აქტიურად თანამშრომლობენ და ამჟამადაც 8 პერსონალია დარეგისტრირებული სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ტრენინგის გასავლელად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ მე -5 სტანდარტთან დაკავშირებით, თქვა, რომ ის არ იზიარებს რეკომენდაციას, რადგან მათ აქვთ მკაცრად გაწერილი ხარისხის სამოქმედო გეგმა ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელიც გაგზავნილი იყო ექსპერტებისათვის, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ ყოვლთვიურად რას აკეთებს ხარისხის სამსახური, როგორ ახორციელებს თავის საქმიანობას და რას მოიცავს. მათ შემუშავებული აქვთ მონაცემთა ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია,

რომელიც მრავალ კომპონენტს ეფუძნება. ის შემუშავებულია იმისათვის, რომ სწავლის შედეგები შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის დროსა და დასრულებისას. მისი თქმით, აქ გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი სტატისტიკური გამოკვლევის გზები. დაწესებულების წარმომადგენელმა ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნა, რომ შემუშავებულ პროცესს ეწოდა მონაცემთა ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერილ იქნა სხვადასხვა ასპექტებით გენერირებული ქულების გაზომვის პროცესში: პერსონალის კითხვარები, სტუდენტთა ზოგადი კომპეტენციები, სტუდენტთა კმაყოფილება, დამსაქმებელთა კითხვარი და კურსდამთავრებულთა კმაყოფილება, რაც შემდგომში ერთიანდება, იმისთვის, რომ მიმოიხილოს მიღწევები და პროგრესი და შემდეგ შემუშავდეს რჩევები გაუმჯობესებისათვის, დიმპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე". შესაბამისად მისთვის გაურკვეველია აღნიშნული რეკომენდაცია, ასევე, ის, რომ შიდა ხარისხი უნდა იყენებდეს ამ პრინციპს, როდესაც დასკვნაშივე წერენ, რომ იყენებენ. რაც შეეხება გარე ხარისხის შეფასებას, ექსპერტთა დასკვნის პირველ წინადადებაში წერია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედი" „დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს. გარდა ამისა, დაწესებულებამ წელიწადნახევრის წინ, როდესაც მიიღო პირობითი აკრედიტაცია, პროგრამის შეფასებაში ჩართული გახლდათ საერთაშორისო ექსპერტი, როგორც გარე შემფასებელი და ისინი მიყვებიან მის რეკომენდაციებს. საგანმანათლებლო პროგრამის მონტორინგსა და მიმოხილვასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარე და შიდა ხარისხის მექანიზმებში გაწერილია სტრუქტურა, ასევე, თქვა, რომ ექსპერტთა დასკვნაშივე წერია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული მიმოხილვა წარმოებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, რომელიც წარმოდგენილია სწავლის პერიოდში, სწავლის შედეგების შეფასებაში 2018-19 წლის შემოდგომის სემესტრში. 5.1 ქვესტადარტის შესახებ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ შექმნილი აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სერიოზული მეთოდოლოგია. ისინი დარგობრივ კომპეტენციებთან მიმართებაში აფასებენ სტუდენტის ცალკეული კომპეტენცია რა შედეგზე გადის. ის არ ეთანხმება, რომ ინფორმაცია მექანიკურად მუშავდება, რადგან მათ აქვთ სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, სადაც მონაცემები ბაზურად მუშავდება და იღებენ იმ შედეგს რაზეც ცალკეულ სეგმენტზე ბაზიდან ღებულობენ ამონარიდებს, შესაბამისად, სტუდენტთა შეფასება 6 წლის მანძილზე, ამ დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით, ავტომატურად ხდება. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ისინი არ ეთანხმებიან რომ რომელიმე სტანდარტში ეკუთვნით ნაწილობრივი შეფასება. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აქვთ ქართული სწავლება, ექსპერტთა დასკვნაში წერია, რომ სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მისიასთან თანხვედრაშია და მიზანშეწონილად მიიჩნევა, როგორც ქართველი, ისე უცხოელი კურსდამთავრებულებისათვის. სწავლის მიზნები ასახულია დოკუმენტებში, იმგვარად, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და საქართველოს მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 2018 წლის ივნისში. ასევე, მან დააზუსტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა და არა ბაკალავრიატის.

მოწველმა საბჭოს წევრმა თამარ ვალიშვილმა ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან რეკომენდაცია, რომ პერსონალი არ იყო საკმარისად ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა-განვითარებასა და იმპლემენტაციაში. მისი თქმით, სასწავლო უნივერსიტეტს აქვს სტრატეგია გაწერილი, აქვს მჭიდრო კავშირი დაინტერესებულ პირებთან და თხოვნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეკონკრეტებინათ რა ნორმატიული აქტები აქვთ დაწესებულებაში, რომელიც ადასტურებს სამიზნე ჯგუფების ჩართულობას ამ პროცესში. ასევე, მისიასთან დაკავშირებით, მოწვეული საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მათ უნდა ჰქონდეთ ძალიან ღრმა კავშირები და კოლაბორაცია უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან, გეოგრაფიული კუთხით კი ახლო მეზობელ ქვეყნებთან. ის დაინტერესდა, თუ რა გაკეთდა დაწესებულებაში

ინტერნაციონალიზაციის კუთხით და რამდენი სტუდენტი და აკადემიური პერსონალი ჰყავდათ ჩართული გაცვლით პროგრამებში?

დაწესებულების წარმომადგენელმა მოწვეული საბჭოს წევრს მოახსენა, რომ ის როგორც ხარისხის სამსახურის უფროსი, შეხვედრებს უწევდა კოორდინაციას, ყველა შეხვედრა არის დაოქმებული, რომელიც გადაგზავნილი იყო ექსპერტებისათვის, ეს შეხვედრები იყო ევექსის, პინეოს წარმომადგენლებთან, გერმანულ ჰოსპიტალთან, რომელთანაც აქვთ აფილირების ხელშეკრულება, სტუდენტებთან, სხვა ფაკულტეტის კურსდათავრებულებთან, რადგან ამ საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები და დამსაქმებლებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წელს ეყოლებათ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველი კურსდამთვარებულები, რომელთა უმეტესობა უკვე დასაქმებულია ბოლო კურსიდან. მან აღნიშნა, რომ დაავიწყდა აღენიშნა მათი ერთ-ერთი წარმატებაა, რომ მათ გადაიყვანეს სტუდენტები ერთ აფეხურიანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამიდან ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ცენტრშიც გაიმართა შეხვედრა, სადაც დარგობრივ მახასიათებელზე სამუშაო ჯგუფი იყო წარმოდგენილი. მათი წარმომადგენელი არჩილ კაპანაძე ვერ დაესწრო შეხვედრას, თუმცა მიეწოდათ მასალები, მისი თქმით, მათ მარტივად მოახდინეს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ადაპტირება, შეიმუშავეს მკაფიო სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სტუდენტებისთვის. გეგმის შემუშავებაში ყველა აფილირებული და აკადემიური პერსონალი ჩართული იყო. რაც შეეხება საერთაშორისო კოლაბორაციას მიუნხენის, შტაინბაისის, ბამბერგის უნივერსიტეტებთან ხელშეკრულებების ფარგლებში, უკვე ჰყავდათ სხვა ფაკულტეტის ფარგლებში გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე კი ელოდებიან აკრედიტაციის პროცესს, კარგად სწავლობენ სტუდენტის სასწავლო გეგმას და აკრედიტაციის შემდეგ დაიწყებენ უფრო ღრმა კოლაბორაციას სტუდენტების გაცვლის მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ მიუნხენის ჰოსპიტალთან, შტაინბაისის და ბამბერგის უნივერსიტეტებთან მათი საგანმანათლებლო პროგრამის კურაციული გაცვლითი კურსი, გულისხმობდა მაღალკურსელების მიუნხენის ჰოსპიტალში გაცვლას, იყო შეთავაზება, გაეგზავნათ 10 სტუდენტი, თუმცა დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე პროცესი დროებით შეაჩერეს, შესაბამისად, სტუდენტები იმუშავებდნენ იმავე საათობრივი დატვირთვით.

საბჭოს თავჯდომარე ჩაეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს ვინ იყო შტაინბაისის რექტორი. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ უნივერსიტეტის რექტორია გიორგი ხუბუა.

საბჭოს წევრი თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა 11 საფეხურიდან მათი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აკრედიტაციაზე არის შემოტანილი, ინტეგრაციის რომელ საფეხურზეა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ გააკეთეს 6 დონიანი ინტეგრაცია, რომელიც მოიცავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას.

მოწვეული საბჭოს წევრმა გაიმეორა დაწესებულების წარმომადგენლის სიტყვები, რომ ნორმის შემსწავლელი მეცნიერებები არ აქვთ ინტეგრირებული, აქვთ ბლოკური მიდგომა, ხოლო არგუმენტირებულ პოზიციაში უწერიათ, რომ კლინიკურ დისციპლინებში აქვთ ვერტიკალური ინტეგრაცია. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მაგალითი მოეყვანა და განემარტა მათი ნათქვამი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საბაზისო ნაწილში ინტეგრაცია გულისხმობს ნორმის მოდულების ნაწილს და არა სიცოცხლის შემსწავლელ ბლოკს, რომელიც ისწავლება პირველ სემესტრში, მეორე, მესამე, მეოთხე სემესტრში კი ადამიანის ორგანიზმის ნორმის შემთხვევის მოდულები, რომელიც მოიცავს 5 კომპონენტს ადამიანის ნორმალური ანატომია, ნორმალური ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, ბიოქიმია და კლინიკური უნარები.

მოწვეული საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ მან იკითხა კლინიკური ინტეგრაციის ბლოკზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მე -7 დან მე - 12 სემესტრამდე იწყება კლინიკური

ნაწილები, სადაც ვერტიკალური ინტეგრაცია გულისხმობს იმას, რომ თითოეული სილაბუსის მასალა მოიცავს არა მხოლოდ ამ დისციპლინის სწავლებას, არამედ ეფუძნება წინა მასალის გახსენებას და მასზე დაფუძნებით ახალი კლინიკური ცოდნის შეძენას, მაგალითად, მეანგინეკოლოგიის კლინიკური საგანში სტუდენტი ჯერ იხსენებს რეპროდუქციული სისტემის მოდულს, რომელიც აგრეთვე არის წინაპირობა. მისი განმარტებით, სანამ დაიწყება კლინიკური შემთხვევების განხილვა, სპეციფიკური ნოზოლოგიების დაავადებების სწავლება, მანამდე შესავლის სახით გათვალისწინებულია სილაბუსის შინაარსში ქალის ნორმალური რეპროდუქციული სისტემის ანატომიის, ფიზიოლოგიის, გარკვეული ნაწილის მიმოხილვა და შემდეგ ხდება მათი დაკავშირება.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, ნაწილი სტუდენტებისა კი უკვე დამამთავრებულ კურსზე არიან. გამომდინარე აქედან მან სთხოვა ექსპერტებს გაემახვილებინათ ყურადღება იმ შენიშვნებზე, რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ რესურსთან და რომელიც მეტწილად შესაბამისად არის შეფასებული. ის დაინტერესდა, თუ რა რესურსი აქვს დაწესებულებას, რამდენად არის დაწესებულება მზად განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა? სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალურ მუშაობასთან, მე -3 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულია სრულ შესაბამისობაში აკრედიტაციის მოთხოვნებთან, თუმცა გაწერილია ისეთი რჩევები, რომელიც არ არის მიღებული რჩევების ნაწილში, რომ გაიწეროს, მაგალითად, რჩევა, რომ კარგი იქნებოდა თუ სტუდენტური თვითმართველობის კომიტეტი მიიღებდა ოფიციალურ სახეს, შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე, რომელზეც წვდომა ექნებოდა თანამშრომლებსა და სტუდენტებს. საბჭოს წევრის თქმით, სტუდენტური თვითმართველობის მარეგულირებელი დებულება დაწესებულების წარმომადგენლებს ატვირთული აქვთ ვებ-გვერდზე, ასევე, ექსპერტთა რეკომენდაციაა სტუდენტური თვითართველობის დაფინანსების გაზრდა. სტუდენტური თვითმართველობის ფუნქციონირებას არეგულირებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 45 მუხლი[36] სადაც გაწერილია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომლითაც ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირება ხდება და სადაც კონკრეტული ჩანაწერი დაფინანსებასთან დაკავშირებით არ ფიქსირდება, შესაბამისად, მსგავსი ტიპის რეკომენდაცია ვერ გაიწერება.

სტუდენტმა ექსპერტმა ლანა ბოკუჩავამ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ სტუდენტთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სტანდარტის მოთხოვნები შესრულებული იყო და აღნიშნეს, როგორც ბესთ პრაქტისი (Best practice), ეს იყო სტუდენტური პორტალი, რომელზეც იყო ყველა ინფორმაცია მიწოდებული. ექსპერტის თქმით, გასაუბრებისას დადგინდა, რომ წარმომადგენლები არ იცნობდნენ ერთმანეთს და ინფორმაციის დინება (information flow) არ ჩანდა. რაც შეეხება მატერიალურ ბაზას, როდესაც ნახეს კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების ბაზა, მაგალითად, ოსკის ნაწილი იყო შესრულებული მაღალ დონეზე, ყველაფერი რაც საჭიროა იყო ადგილზე გახლდათ.

მოწვეული საბჭოს წევრი ლელა მასხულია დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლები პორტფოლიოს რა ფორმატით და რომელი სემსტრიდან იყენებდნენ და რა მტკიცებულებები გროვდება სწავლის შედეგების მიღწევისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის?

დაწესებულების წარმომადგენელმა მოწვეული საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათ შეფასების ეს მეთოდი საგანმანათლებლო პროგრამაში ჩადეს და დაიწყებენ მის განხორციელებას, რომელსაც საფუძვლად დარგობრივი მახასიათებელი დაუდეს. ამ შეფასებით გაანალიზდება, თუ რა მიღწევებელი ექნებათ სტუდენტებს სი ბი ელ (CBL) და ფი ბი ელ (PBL) მეთოდებში. ასევე იქნება 6 წლიანი შეფასება დარობრივი მახასიათებლის მიხედვით და სტუდენტი თვითონ დაინახავს რა კომპეტენციებშია ძლიერი და რაში - სუსტი.

---

[36] სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებები

მოწვეული საბჭოს წევრმა ლელა მასხულიამ დააზუსტა სუმაციურ შეფასებას გულისხმობენ თუ არა, დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სუმაციურ შეფასებას გულისხმობდნენ.

საბჭოს წევრმა ეკა ეკალაძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიში არ არის მდიდარი და პროცესებზე, რომელიც უნივერსიტეტში მიმდინარეობს, წარმოდგენა ნაკლებად შეექმნა. შესაბამისად, მან გამოთქვა სურვილი, დაწესებულების წარმომადგენლებს მიცემოდათ საშუალება, წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია. მისი თქმით, სილაბუსები საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების შედეგების დაზუსტებას, შინაარსიდან ნაკლებად ჩანს, რომელ შესაბამის შედეგზე უნდა გავიდეს კურსი. მაგალითად, ,,სიცოცხლის მეცნიერებების ბლოკის" ერთ-ერთი კურსის შედეგია ,,პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა", ბლოკის შემადგენელი არცერთი კურსში აღნიშნულ შედეგზე გასვლისათვის საჭირო შინაარსი და მეთოდოლოგია არ ჩანს. მან აღნიშნა, რომ პროგრამას ახლავს დამატებითი დოკუმენტები, რაც დიდი შრომის შედეგია, მათ შორის,შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკები, სადაც მითითებულია შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავების გრადაცია 1,2,3. აღნიშნული დოკუმენეტიც ,,ადასტურებს", რომ პაციენტის კონსულტაცია ზემოაღნიშნული ბლოკის საგნებში პირველ დონეზე გამომუშავდება - ბლოკის არცერთ იმ საგანში პაციენტის კონსულტაციისთვის მიცემული შინაარსი და მეთოდოლოგია არ ჩანს, შესაბამისად, დაინტერესდა, რატომ გამოაქვთ ეს კომპეტენცია შედეგში - დარგობრივ კომპეტენციებს უფრო დეტალურად უნდა გააზრება. საბჭოს წევრის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, სუპერვაიზერი და 2 კონსულტანტი, უცხოელი კოორდინატორები. აქედან გამომდინარე, ის დაინტერესდა, რაში გამოიხატება მათი მხარდაჭერა, რა კონკრეტული რეკომენდაციები გასცეს მათ, რომელი რეკომენდაციები გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელმა და ექსპერტებმა თუ ნახეს დოკუმენტაცია, რადგან ექსპერტთა და დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციები ერთმანეთისგან განსხვავდება. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, ესაუბრათ იმ დოკუმენტაციაზე, რომელიც ადასტურებს ხელმძღვანელებთან, თანახელმძღვანელებთან თუ კოორდინატორებთან ურთიერთობას, აქტიურ კონკრეტულ ჩართულობას. მან ნახა ხელშეკრულებები, რომელიც დოკუმენტაციას ახლავს თან: მათგან ერთი 2017 წელს დაიდო, დანარჩენი 2019 წელს. ის დაინტერესდა, რა დაიგეგმა ამ ხელშეკრულებების მიხედვით, ექსპერტებმა თუ ნახეს გარკვეული აქტივობების ოქმები? მან გაკვირვება გამოხატა დაწესებულებისა და ექსპერტთა პანელის შეფასების მკვეთრი შეუსაბამობის გამო მე-2 სტანდარტთან მიმართებაში: ექსპერტები ამ პუნქტს ,,ნაწილობრივი შესაბამისობით" გამოხატანვენ, მაშინ, როცა დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშში მხოლოდ დადებით მხარეებს აღნიშნავს. მან იკითხა, თუკი დაწესებულებამ ყველა დოკუმენტი წარმოადგინა, მაშინ რამ განაპობა ექსპერტთა მხრიდან სტანდარტის მკვეთრად დაწევა. საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა კვლევის სილაბუსზე. მან ისაუბრა კვლევის კომპონენტის მნიშვნელობაზე მედიცინის პროგრამაში დარგობრივ სტანდარტთან მიმართებაში აღნიშნა, რომ მე-6 კურსის კვლევის კომპონენტის სილაბუსი მშრალია, ამასთან, სჭირდება წინაპირობა. ყურდღება უნდა მიექცეს კურსის ავტორის დარგობრივ კომპეტენციასაც -სავარაუდოდ, მედიცინაში კვლევების განსაკუთრებით კლინიკური კვლევების წარმოებისათვის დასჭირდებათ სამედიცინო განათლების კადრის კომპეტენცია. შესაძლოა, მოიაზრებენ ასეთ კადრებს, მაგრამ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, სამწუხაროდ, არ ჩანს ეს. საბჭოს წევრის აზრით, სილაბუსს აკლია დეტალიზება - როდის ირჩევს სტუდენტი საგანს, საკვლევ თემატიკას, რა პერიოდში აქვთ შესასრულებელი კვლევის გეგმის თითოეული კომპონენტი, რა სახით უნდა დაიწეროს კვლევითი ნაშრომი, და რა მოთხოვნები წარედგინება სტუდენტს? ზოგადად, ჩანს, რომ სილაბუსებზე ნამუშევარია - (წარმოდგენილია კომენტარებიანი, ,,შუალედური" დამუშავების პროცესში ,,მყოფი" სილაბუსი. ასევე, საგანში „პრაქტიკა კლინიკაში", სასურველია. დაზუსტდეს რომელ კლინიკაში გადიან სტუდენტები პრაქტიკას - ამის გაგრძელებაა მორიგეობების თემა, რომელსაც ექსპერტებიც აღნიშნავენ. დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროგრამა გულისხმობს ვერტიკალურ ინტეგრაციას: პრაქტიკა იწყება პირველივე კურსიდან, თუმცა რა მიზანი აქვს პირველკურსელების კლინიკებში მორიგეობისთვის გაგზავნას, ეს არ ჩანს არსად. დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ სტუდენტს აქვს მორიგეობის ფურცელი, რომელიც ამ სილაბუსს თან არ ახლდა, ახლდა სხვა სილაბუსს, რომელიც საბჭოს წევრმა ჩათვალა, რომ იგივე იყო. ასევე,

დაწესებულების წარმომადგენლები წერენ, რომ მორიგეობისას ნებისმიერი მორიგე ექიმის მიერ ხდება მორიგეობის ფურცელზე ხელმოწერა, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ აქვთ სპეციალური ტრენინგი პერსონალისთვის ჩატარებულ ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, ექსპერტებს ჰკითხა, სტუდენტებმა რა თქვეს გასაუბრებისას, რამდენად ადგებათ მათ ეს მორიგეობები. უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება კაპლანის დაწესებულებასთან, რომელიც არის ამერიკული ორგანიზაცია, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამერიკული სალიცენზიო გამოცდების მოსამზადებლად, ეს ხელშეკრულება დიდი ხანია ამ უნივერსიტეტს აქვს დადებული, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ აქვს უნივერსიტეტს ამ მიმართულებით განხორციელებული რაიმე აქტივობები და

რა სახის, რადგან ეს კურსი საკმაოდ ძვირია და რეალურად, ყველასთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება.

საბჭოს წევრმა განაგრძო საუბარი დარგობრივ სტანდარტზე, მისი თქმით, ინტეგრაციის დონეზე დაწესებულების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს მათი პოზიცია და სასურველია ექსპერტებმაც გამოთქვან აზრი ამ საკითხთან მიმართებაში. დარგობრივი სტანდარტი, რომელიც ორი წლის წინანდელია, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შეფასების მეთოდებს. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები უპრობლემოდ გადაიყვანა ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რაც ნადვილად ძალიან კარგია. საგანმანათლებლო პროგრამაში ნამდვილად არის პი ბი ელ (PBL), ოსკი (OSCE), სი ბი ელ (CBL) მეთოდები, ასევე Mini-cex მინი სი ი ექსი, რაც მნიშვნელოვანია, თუმცა საბჭოს წევრის განმარტებით, სილაბუსებში არ არის მითითებული სად ატარებენ პი ბი ელ-ს (PBL), რას მოიცავს, რა ფორმატით? რაც შეეხება, OSCE-ს, ის კარგი მეთოდია, ამასთანავე - საკმაოდ ძვირადღირებული, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კლინიკურ სასწავლო კურსში გათვალიწინებულია ოსკი, როგორც შუალედური შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი, თითო 12 სადგური, საბჭოს წევრს ძნელად წარმოუდგენია 12 სადგურიანი ოსკის ჩატარება ყველა კლინიკურ საგანში. რაც შეეხება, მინი სი ი ექს მეთოდს, რომელიც ახალი მეთოდია, საგანმანათლებლო პროგრამას 3 კურსზე აქვს - მე -4, მე -5, მე- 6. პროგრამის მიხედვით, მიმდინარე სემესტრში უკვე 10-15-ჯერ არის ჩატარებული მინი სი ექსი. საბჭოს წევრის თქმით, ჩექ ლისტების (Check List) მოძებნა/ადაპტირება ადვილია, თვითონ ჩატარების თვალსაზრისით კი არის საკმაოდ რთული, რადგან მოითხოვს ჩართული პერსონალის ხანგრძლივ ტრენინგს, სტუდენტების დატრენინგებას, მით უმეტეს, რომ დაწესებულება კი მას მას მხოლოდ სუმაციური შეფასებისთვის იყენებს, შესაბამისად, მას აინტერესებს, თუ ჩატარდა ეს ტრენინგები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია თუ ნახეს ექსპერტებმა? ასევე, საბჭოს წევრის განმატებით, ძალიან კარგია,რომ პროგრამა ყურადღებას ამხვილებს პროფესიონალიზმზე, რომელსაც ითვალისწინებს დარგობრივი სტანდარტი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლები პირველივე კურსიდან იწყებენ მუშაობას, თუმცა ვერ ნახა ინფორმაცია რას მოიაზრებენ ამაში. ჩანს, რომ ნამუშევარია ამ თემაზე, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა თხოვნით, განემარტათ პროფესიონალიზმის, ასევე, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის უნარის გამომუშავებისას როგორ აკონტროლებენ და აფასებს მათ, 6 კურსის მანძილზე მონაცემების შეგროვება როგორ ხდება თითოეული კურსიდან, რა ნიშნულები აქვთ მე-3 დონის მისაღწევად. მაგალითად, პაციენტის კონსულტაცია პრეკლინიკურ ეტაპზე ხდება 2-მდე, სტუდენტები პაციენტთან ძირითად ურთიერთობას იწყებენ მაშინ, როდესაც კლინიკურ საგნებს გადიან, მთლად განმტიცებაზე საუბარი, მისი აზრით, ცოტა არადროულია, რადგან მათი კურიკულუმიდან გამომდინარე პრაქტიკულ უნარებში პაციენტთან კომუნიკაცია კლინიკურ ეტაპამდე ისე ინტენსიური არ არის, რომ „გამომუშავება" (მე-2 დონე) იქნას მიღწეული. დიდად ვერ დაინახა. ექსპერტებს ხაზგასმით აქვთ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების ლიდერების ჯგუფთან დაკავშირებით, რასაც კატეგორიულად არ დაეთანხმნენ დაწესებულების წარმომადგენლები და თუკი ვიზიტზეც იყო საუბარი ამის შესახებ, რამ გამოიწვია ამ პოსტულატის მკვეთრად გამოჩენა რეკომენდაციაის სახით?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, უცხოელების ჩართულობასთან დაკავშირებით, რომ მათ ჰყავთ კონსულტანტები და საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელები გერმანიიდან, მათი ინდიკატორია საფაკულტეტო ოქმები, ჩამოსულები იყვნენ კონსულტატები, ისინი აქტიურად არიან მათთან ონლაინ რეჟიმში, წარდგენილი აქვთ ფრანკ ლეიმის დასკვნა და რეკომენდაციები ექსპერტებისთვის. რაც შეეხება კაპლანის ხელშეკრულებას და USMLE გამოცდებისთვის მზადებას, მან

თქვა, რომ ჯერ-ჯერობით ამ გამოცდებისკენ სტუდენტებს გეზი არ აუღიათ. სტუდენტთა უმეტესობა არიან ინდოელები, რომლებიც ემზადებიან MCI გამოცდებისათვის, რისთვისაც უტარდებათ ქოუჩინგ კურსები.

დაწესებულების წარმომადგენლის მანანა ცერცვაძის თქმით, თვითშეფასებას აქვს თანდართული ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც ყველა კითხვაზე სცემს პასუხს, ყველა სტანდარტს შესაბამისი ინდიკატორები თან ახლავს.

19:42 საათზე გიორგი თურქიამ დატოვა სხდომა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პაციენტის კონსულტაცია პირველ სემესტრში მოცემულ საგნებში პირველ დონეზეა მითითებული, ინფორმაციის თანამედროვე ტექნოლოგიების სილაბუსში წერია, რომ ამ სასწავლო კურსის მეშვეობით სტუდენტი ეცნობა სხვადასხვა სამედიცინო ელექტრონულ დოკუმენტაციას, რასთანაც მას ექნება კავშირი, როდესაც ის წავა მორიგეობებზე კლინიკურ პრაქტიკაზე, იმისთვის რომ იცოდეს როგორ იწერება რეცეპტი, როგორ ხდება წამლის გამოწერა, ამ ყველაფერს ასწავლიან სწორედ ინფორმაციის განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბლოკში შემავალ კომპონენტებში შედის: ბიოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, სადაც თეორიული ცოდნის გარდა მოიაზრება ფი ბი ელის (PBL) საათები, სადაც სტუდენტები ჯგუფურად მუშაობისას განიხილავენ სხვადასხვა კლინიკურ შემთხვევებს. შესაძლებელია განხორციელდეს როლური თამაშები, როდესაც იქმნება პაციენტის და ექიმის მოდელი, ხდება ინფორმაციის შეკრება, გამოკითხვა, რა კომპეტენციაც გაცნობით დონეზე მოიაზრება ამ პირველ რამდენიმე სემესტრში, ხოლო რაც შეეხება, მე - 2 დონეს ეს არის განვითარება. პაციენტის დიაგნოზის დასმა ხორციელდება ნორმის მოდულების და პათოლოგიის მოდულების შემთხვევაში, რაკი სი ბი ელი (CBL) და ოსკი (OSCE) არის ძალიან ინტენსიურად გამოყენებული. მისი განმარტებით, პირველივე სემესტრიდან სტუდენტს უწევს აქტიური გასვლა კლინიკაში, რადგან კლინიკური პრაქტიკის შემოღებას ავალდებულებს დარგობრივი კომპეტენციის ჩარჩო. კლინიკურ პრაქტიკაში ინტეგრირებული ცოდნის გასაღრმავებლად განახორციელდა ეს ცვლილება, რადგან თუ ინტესიურად არ გაუშვებენ სტუდენტებს მორიგეობებზე, მაშინ პრაქტიკის შედეგზე ვერ გავლენ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ აქვთ დეტალური შეფასების ფურცელი, პროცედურის აღწერა, თუ რა ხდება მორიგეობისას. ექიმს ეძლევა ინსტრუქცია, თუ რა უნდა ჩაიწეროს მორიგეობის დღიურში და რა შემთხვევაში უნდა მოეწეროს ხელი. მან კიდევ ერთხელ თქვა, რომ პაციენტის კონსულტაციის გაწევა პირველ, მეორე და მესამე სემესტრში იწყება გაცნობის დონით, შემდეგ გადადის გაღრმავების მე-2 დონეზე და კლინიკურ დისციპლინებზე მე - 3 დონეზე ხდება განმტკიცება. სტუდენტებს კლინიკებში აქვთ პაციენტებთან კონტაქტი, ხდება დიაგნოზის დასმაში მონაწილეობა, კლინიკურ პროცესებში ჩართულობა. ასევე, მან აღნიშნა, რომ ოსკის (OSCE) კომპონენტის გაძლიერება მოითხოვა დარგობრივმა სტანდარტმა, წინა ექსპერტთთა ჯგუფის რეკომენდაციაც იყო სადგურების გაზრდა და მოხდა მისი 8 დან 12 მდე გაზრდა. შუალედური გამოცდის კლინიკურ საგნებში ჩატარება არანაირი პრობლემა არ არის, მინი კლინიკური გამოცდა კი ჯერ არ ჩაუტარებიათ. მას აქვს საერთაშორისოდ შემუშავებული ფორმატი, ასევე, როგორც მათ მოიპოვეს ინფორმაცია საერთაშორისოდ, ეს მეთოდი გამოიყენება სტუდენტის ერთ-ერთი კარგი შეფასების კომპონენტად კლინიკური და პრაქტიკული უნარების ნაწილში. დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტებთან გადმოგზავნილი ჰქონდათ მინი კლინიკური გამოცდის შეფასების დეტალურად გაწერილი ფურცელი. მისი განმარტებით, თითოეული სტუდენტის პორტფოლიოს შეფასებაში არის გათვალისწინებული, სტუდენტს თითოეულ დარგობრივ კომპეტენციაზე რა პროგრესი აქვს. შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული მოსწრების ქულების მიხედვით დაჯამებაც და თითეული სემესტრის მანძილზე გამოავლინონ რა პროგრესი და ხარვეზი აქვს თითოეულ კომპეტენციაში სტუდენტს, შემდეგ ატარებენ დეტალურ კვლევას თუ რა არის ამის მიზეზი. რაც შეეხება პი ბი ელ (PBL) და სი ბი ელს (CBL), პი ბი ელ (PBL) ხორციელდება იქ, სადაც სწავლების ფორმატი მოითხოვს სხვანაირ კრეატიულ მიდგომას საგნის შესწავლისადმი. შესაბამისად, ის სამეცნიერო კვლევის უნარ - ჩვევებში, ეპიდემიოლოგიაში და სხვადასხვა საგნებშია ჩადებული. რაც შეეხება პროფესიონალიზმს, ტერმინი რომელიც მოიცავს არა მხოლოდ კლინიკური უნარების ცოდნას,

არამედ ღრმა თეორიულ ცოდნას, ეთიკურ დამოკიდებულებას პაციენტთან, კოლეგებთან ურთიერთობის ცოდნას, ჯანდაცვის რგოლების ერთმანეთთან მუშაობის ცოდნას და ა. შ, რაც ექიმს უნდა გააჩნდეს მაღალ დონეზე, რომელიც მუშაობს ჯანდაცვის სისტემაში. ამ კომპეტენციების განვითარება იწყება პირველივე სემესტრიდან, ამაში მოისაზრება ბევრი დისციპლინა. რაც შეეხება შეფასებას ის ფასდება ყველა დისციპლინის შეფასებით და გამომუშავება ექიმის სამედიცინო პროფესიონალიზმის ხდება ოსკის (OSCE) და მინი კლინიკური გამოცდის ფორმატით, რაც ახალია და საჭიროა საერთაშორისო სტანდარტებისათვის ფეხის ასაწყობად.

დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა ცერცვაძემ თქვა, სილაბუსი „პრაქტიკა კლინიკაში", არის თავისუფალი კურსების ბლოკიდან და მოიცავს 10 კრედიტს. მორიგეობა იყო სტუდენტების ინიციატივა, რადგან ისინი უკვე მორიგეობდნენ სხვადასხვა კლინიკებში, ეს სილაბუსი საშუალებას მისცედა ამ სტუდენტებს შეფასებულიყო პედაგოგებთან ჩატარებული მუშაობა. რაც შეეხება სილაბუსის ავტორებს, მათ გაწერეს სილაბუსი „პრაქტიკა კლინიკაში", სადაც ჩაწერეს, რომ თუ სტუდენტი სხვა კლინიკაში მოღვაწეობს, მას შეუძლია მათ მიერ გაწერილი შეფასებების დღიური მიიტანოს პედაგოგთან და თავისუფალი კრედიტის ფარგლებში მიიღოს ეს შეფასება.

მოწვეული საბჭოს წევრმა ივანე აბიათარმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აღეწერათ სი ბი ელ (CBL) შეფასების და პროფესიონალიზმის კრიტერიუმები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ნორმის და პათოლოგიის მოდულებში ცალკე სი ბი ელ (CBL) შეფასება არ ხდება, ის ჩასმულია როგორც ცალკე პრაქტიკული მეცადინეობა, სადაც ხდება შემთხვევების განხილვა. შეფასებები ეყრდნობა მოდულის განმავლობაში 2 ჯერ ჩატარებულ ქვიზს, რომელიც აგებულია კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებულ ინტეგრირებულ ტესტებზე. შუალედური გამოცდა ეფუძნება მოდულების შემთხვევაში ტესტურ ნაწილს, რომელიც ინტეგრირებულ ქეისებზეა აგებული, კლინიკური უნარები, შუალედური შეფასება ტარდება ოსკის (OSCE) სახით, ფინალური გამოცდა კი 2 კომპონენტიანია: ტესტური, ინტეგრირებულ ქეისებზე აგებული და კლინიკური პრაქტიკული გამოცდა, სადაც 40 ქულიდან 16 ქულა ეთმობა ტესტს, 24 ქულა კი კლინიკური პრაქტიკული უნარების ნაწილს. რაც შეეხება სი ბი ელ ს (CBL), ის არის მეცადინეობის ფორმატი, რომელიც არ ფასდება და რომლის დროსაც ხდება სტუდენტის შეჩვევა კლინიკური ქეისების ამოხსნის რეჟიმთან. პროფესიონალიზმის შეფასების კრიტერიუმს რაც შეეხება ის ფასდება პორტფოლიოს ფორმატით, საშუალო მონაცემის გამოთვლით.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, მათ ბიოლოგიის ერთ-ერთ კურსში გამოყენებული აქვთ სწავლების პი ბი ელ (PBL)მეთოდი. მან სთხოვა დაეზუსტებინა დაწესებულების წარმომადგენელს ეს ასე იყო თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბიოლოგიის კურსში ისინი არ იყენებენ ფი ბი ელ (PBL) მეთოდს. მაშინ მოწვეული საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაესახელებინა ნებისმიერი საგანი, სადაც იყენებდნენ ფი ბი ელ (PBL) მეთოდს. დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა სამეცნირო კვლევითი უნარების სილაბუსი. მოწვეული საბჭოს წევრი დაინტერესდა რა კონკრეტული პი ბი ელ (PBL) ქეისი შეიძლება მოიყვანონ სამეცნიერო კვლევითი უნარების შესწავლის დროს?

დაწესებულების წარმომადგენელმა მოიყვანა მაგალითი, როდესაც არის მოცემული პაციენტი რომელსაც აქვს კორონა ვირუსი, ამ შემთხვევაში სტუდენტი რა მეთოდებს გამოიყენებს დიაგნოსტიკისთვის, მაგალითად, თუ იტყვის პი სი ელს, უნდა დაასაბუთოს რატომ და ა.შ

მოწვეული საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ნევროლოგიის სილაბუსშიც არის ეს მეთოდი პი ბი ელ (PBL) გამოყენებული, თუმცა სტრუქტურულად არ არის აგებული არც სცენარი, არც შესრულების რეჟიმი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ დაატრენინგეს პერსონალი, რომელიც იწყებდა ახალ ინტეგრირებულ პროგრამაზე მუშაობას, მოიწვიეს ეთერ ღვინერია, რომელმაც ჩაატარა პი ბი ელ (PBL) მეთოდზე ტრენინგი. შესაბამისად, ჩაშლილად შეიძლება არ არის სილაბუსში წარმოდგენილი, თუმცა ყველა საგანს აქვს შესაბამისი ქეისები, რომელსაც განიხილავენ, როდესაც ეს საგანმანათლებლო პროგრამა დაიწყებს ფუნქციონირებას.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათთან ფი ბ ელ (PBL) ფორმატი არის სტანდარტული: ტარდება 8 სტუდენტის შესაფასებლად, მომზადებულია სპეციალური საკლასო ოთახები, პრობლემა ეძლევა სტუდენტს და მაგალითად, ნევროლოგიაში ქეისს განიხილავს ინდივიდუალურად ჯგუფი. პრობლემაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის სტანდარტი არსებობს, მათი პერსონალი კვალიფიციურია, ჯგუფებში კი როლები განაწილებულია სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ხანგრძლივი მსჯელობისა, ყველა მაინც თავის აზრზე დარჩა. მისი განმარტებით, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სილაბუსის მიზანი არ შეესაბამება კურსის მიზანს, რადგან წერია, რომ მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ვინდოუსის გარემოში მუშაობა, პერსონალური კომპიუტერების ზოგადი დახასიათება, სისტემურ საქაღალდეებთან მუშაობა, ვორდის ტექსტური რედაქტირება, ექსელის ცხრილების შედგენა, ინტერნეტის საძიებოსთან, ელექტრონულ ფოსტასთან მუშაობა, სადაც ექსპერტმა ვერსად ვერ ნახა მიზანი, რომელიც გადის პაციენტის კონსულტაციის, წამლის გამოწერის მიზანზე. მისი თქმით, სტუდენტების რაოდენობა იზრდება, ბოლო წლების განმავლობაში 400-ზე მეტია უცხოელი სტუდენტი. გასაუბრებისას ჩანდა სტუდენტთა მოტივირებულობა, რომელთა პოტენციალი გამოყენებული უნდა იყოს სწორედ საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ჯგუფში არ იყო არცერთი სტუდენტი, ჯგუფში მითითებული იყო: ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სიმულაციური კლინიკის დირექტორი, ბიბლიოთეკის დირექტორი, ადამიანური რესურსის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მთავარი ბუღალტერი, შიდა აუდიტი, სადაც დაწესებულების წარმომადგენლებს გამორჩათ და ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინეს ოქმი, სადაც მითითებული იყო 2 სტუდენტის გვარი. გარდა ამისა, ექსპერტები შეხვდნენ დამსაქმებლებს, რომლებიც კითხვების დასმის დროს ახდენდნენ გადამისამართებას. რაც შეეხება რესურსების უზრუნველყოფას, მისი თქმით, პერსონალთან შეხვედრისას დასვეს შეკითხვა: გამომდინარე იქიდან, რომ ახალი დარგობრივი სტანდარტი შევიდა ძალაში, როგორ მოხდა მათ მიერ მათ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების განსაზღვრა და ჩამოყალიბება, მითუმეტეს თუ საუბარი იყო ინტეგრირებულ მოდულზე? ექსპერტის თქმით, არ ყოფილა შემთხვევა რომ ერთ-ერთმა მაინც მოიშველია სტანდარტი, მათი პასუხი იყო, რომ სწავლის შედეგების გაწერა მოხდა გამოცდილებაზე დაყრდნობით. ექსპერტი მიუბრუნდა საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვასაც არის თუ არა საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 500-ზე მეტი სტუდენტის შემთხვევაში? მისი თქმით, 90% ადამიანური რესურსისა იწყებდა პასუხის გაცემას იმით, რომ ის არის თსუ-ს პროფესორი, სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომელი, გამომდინარე აქედან, რამდენად იქნება საგანმანათლებლო პროგრამა მდგრადი დამატებით კითხვებს ბადებს. მან ასევე, აღნიშნა, რომ როდესაც მათ შეეკითხნენ განმახორციელებელ პერსონალს თუ როგორ იყენებდნენ ისინი სწავლების და შეფასების ახალ მეთოდებს პი ბი ელს (PBL) და სი ბი ელს (CBL), პასუხი მიიღეს, რომ კარგად იყენებენ - რამდენად უნდა ჩათვალონ ეს ამომწურავ პასუხად მისთვის გაუგებარია.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:19

დასრულების დრო: 22:02

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) აკრედიტაცია

საბჭოს გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი მოსაზრებები, რეკომენდაციები:

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ა) სილაბუსები საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებას და შედეგების დაზუსტებას, მაგალითად, პირველ სემესტრში გათვალისწინებული სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ბლოკი, თავისი შინაარსით ვერ უზრუნველყოფს შედეგს - პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;

ბ) არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის - კო-სუპერვაიზორის და ორი კონსულტანტის მიერ პროგრამის მხარდაჭერა ან/და პროგრამის განხორციელება-განვითარებაში ჩართულობა;

გ) სილაბუსების ნაწილს აკლია დეტალიზება, მაგალითად, კურსს ,,სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობა" უნდა გააჩნდეს დაშვების წინაპირობები - სწორედ ის კომპონენტები, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამა საკმაო მოცულობით ისედაც ითვალისწინებს: მაგ. აკადემიური წერა, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა. გარდა ამისა, კვლევით კომპონენტში, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, საჭიროა უფრო გამჭვირვალე და კონკრეტული ინფორმაცია ჩასატარებელი კვლევის სახეების, განხორციელების დროის, კვლევის პრაქტიკული კომპონენტის ზედამხედველის/სუპერვაიზორის არჩევის დროისა და კრიტერიუმების, შესასრულებელი ნაშრომის მოთხოვნების, კრიტერიუმების და ა.შ. შესახებ. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია სილაბუსის გარეთ, დამატებითი სარეგულაციო დოკუმენტით იყოს მიწოდებული.

დ) სასწავლო კურსი „პრაქტიკა კლინიკაში" ბუნდოვანია რიგი საკითხები: რომელ ობიექტებზეა ხელმისაწვდომი პრაქტიკის განხორციელება, რომელი აკადემიური/მოწვეული პერსონალია ჩართული კურსის განხორციელებაში, რა მინიმალური მოთხოვნა არსებობს სტუდენტისთვის (შინაარსობრივი სახის) და სხვ;

ე) პროგრით გათვალისწინებულია კლინიკური ასპექტის შემოტანა პროგრამის განხორციელების ადრეული ეტაპიდანვე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, არ არის ნათელი და კონკრეტული პირველკურსელთა პრაქტიკის ობიექტზე მორიგეობის საკითხი - არ იკვეთება კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა არის სტუდენტთა მორიგეობის მიზანი, ვინ ზედამხედველობს სტუდენტს, შეფასების რა მექანიზმები არსებობს, რა ევალება სტუდენტს კლინიკაში, სადაც აღნიშნული აქტივობაა დაგეგმილი. არ იკვეთება უნივერსიტეტში შესაბამისი ინფორმაციის არსებობისა და ასევე, სტუდენტებისა და კლინიკების პერსონალისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების - პერსონალის მომზადების საკითხი.

ვ) საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია სწავლა-სწავლებისა და შეფასების ბევრი თანამედროვე მეთოდი (მაგ. Mini CEX, OSCE, სხვ). თუმცა, პროგრამის ყველა კლინიკურ საგანში საკმაოდ დიდი ,,დოზით" გათვალისწინებული ეს მეთოდები მოითხოვს დიდ ძალისხმევას განხორციელებისას, ამავე დროს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სპეციალურ გადამზადებას, რომელთან დაკავშირებითაც, ზეპირი მოსმენისას არ გამოიკვეთა დაწესებულების მხრიდან პასუხები - როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, რა სახის მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა ამ მიმართულებით, ტრენინგის ჩატარების ფორმატი, სხვ. რაც იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსების სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები გადასახედია.

ზ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი - „პროფესიონალიზმი" არის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუმცა ვერ ხერხდება ამ შედეგის შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების იდენტიფიცირება. ასევე, მ ნიშვნელოვანია პროგრამის სხვა შედეგების (მაგ, როგორიცაა, პაციენტის გასინჯვა, პროცედურების ჩატარება, ანამნეზის შეკრება, კოლეგებთან კომუნიკაცია და ა.შ.) შეფასების ნიშნულების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი - აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მოწვეული საბჭო:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

კენჭისყრის შედეგი - აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თაობაზე

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

მოწვეული საბჭო:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახეობაზე კენჭისყრის შედეგი არცერთი მომხრე, ამავე დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის კენჭისყრის შედეგი -არცერთი მომხრე 27^6 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვეტილება

☐ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

✓ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ქართულენოვანი) აკრედიტაცია

საბჭოს გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი მოსაზრებები, რეკომენდაციები:

ა) სილაბუსები საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებას და შედეგების დაზუსტებას, მაგალითად, პირველ სემესტრში გათვალისწინებული სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ბლოკი, თავისი შინაარსით ვერ უზრუნველყოფს შედეგს - პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;

ბ) არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის - კო-სუპერვაიზორის და ორი კონსულტანტის მიერ პროგრამის მხარდაჭერა ან/და პროგრამის განხორციელება-განვითარებაში ჩართულობა;

გ) სილაბუსების ნაწილს აკლია დეტალიზება, მაგალითად, კურსს ,,სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობა" უნდა გააჩნდეს დაშვების წინაპირობები - სწორედ ის კომპონენტები, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამა საკმაო მოცულობით ისედაც ითვალისწინებს: მაგ. აკადემიური წერა, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა. გარდა ამისა, კვლევით კომპონენტში, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, საჭიროა უფრო გამჭვირვალე და კონკრეტული ინფორმაცია ჩასატარებელი კვლევის სახეების, განხორციელების დროის, კვლევის პრაქტიკული კომპონენტის

ზედამხედველის/სუპერვაიზორის არჩევის დროისა და კრიტერიუმების, შესასრულებელი ნაშრომის მოთხოვნების, კრიტერიუმების და ა.შ. შესახებ. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია სილაბუსის გარეთ, დამატებითი სარეგულაციო დოკუმენტით იყოს მიწოდებული.

დ) სასწავლო კურსი „პრაქტიკა კლინიკაში" ბუნდოვანია რიგი საკითხები: რომელ ობიექტებზეა ხელმისაწვდომი პრაქტიკის განხორციელება, რომელი აკადემიური/მოწვეული პერსონალია ჩართული კურსის განხორციელებაში, რა მინიმალური მოთხოვნა არსებობს სტუდენტისთვის (შინაარსობრივი სახის) და სხვ;

ე) პროგრით გათვალისწინებულია კლინიკური ასპექტის შემოტანა პროგრამის განხორციელების ადრეული ეტაპიდანვე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, არ არის ნათელი და კონკრეტული პირველკურსელთა პრაქტიკის ობიექტზე მორიგეობის საკითხი - არ იკვეთება კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა არის სტუდენტთა მორიგეობის მიზანი, ვინ ზედამხედველობს სტუდენტს, შეფასების რა მექანიზმები არსებობს, რა ევალება სტუდენტს კლინიკაში, სადაც აღნიშნული აქტივობაა დაგეგმილი. არ იკვეთება უნივერსიტეტში შესაბამისი ინფორმაციის არსებობისა და ასევე, სტუდენტებისა და კლინიკების პერსონალისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების - პერსონალის მომზადების საკითხი.

ვ) საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია სწავლა-სწავლებისა და შეფასების ბევრი თანამედროვე მეთოდი (მაგ, Mini CEX, OSCE, სხვ). თუმცა, პროგრამის ყველა კლინიკურ საგანში საკმაოდ დიდი ,,დოზით" გათვალისწინებული ეს მეთოდები მოითხოვს დიდ ძალისხმევას განხორციელებისას, ამავე დროს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სპეციალურ გადამზადებას, რომელთან დაკავშირებითაც, ზეპირი მოსმენისას არ გამოიკვეთა დაწესებულების მხრიდან პასუხები - როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, რა სახის მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა ამ მიმართულებით, ტრენინგის ჩატარების ფორმატი, სხვ. რაც იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსების სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები გადასახედია.

ზ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი - „პროფესიონალიზმი" არის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუმცა ვერ ხერხდება ამ შედეგის შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების იდენტიფიცირება. ასევე, მ ნიშვნელოვანია პროგრამის სხვა შედეგების (მაგ, როგორიცაა, პაციენტის გასინჯვა, პროცედურების ჩატარება, ანამნეზის შეკრება, კოლეგებთან კომუნიკაცია და ა.შ.) შეფასების ნიშნულების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი - აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

მოწვეული საბჭო:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

კენჭისყრის შედეგი - აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თაობაზე

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

მოწვეული საბჭო:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერის

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახეობაზე კენჭისყრის შედეგი არცერთი მომხრე, ამავე დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის კენჭისყრის შედეგი -არცერთი მომხრე 27^6 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვეტილება

☐ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

✓ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე